

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №3

უცხო ქვეყნის
სასამართლო გადაწყვეტილებები

საძიებელი

უცხო ქვეყნის სასამართლო
გადაწყვეტილების
საქართველოს ტერიტორიაზე
ცნობა და აღსრულება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2046-შ-57-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქონების განკარგვის შეზღუდვა

აღწერილობითი ნაწილი:

თელ-ავივის იაფოს საოლქო სასამართლოს 2010 წლის 14 თებერვლის ბრძანებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე დ. მ-ოვის მოთხოვნა გ. ჭ-ის მიმართ მოსარჩელისათვის უცნობი გ. ჭ-ის კუთვნილი ქონების აღწერისა და გამოვლენის შესახებ ასევე გაიცა «მარევას ბრძანება/Mარევა ინჯუნცტიონ» მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის მხრიდან გ. ჭ-ის სახელზე არსებული ქონების, მათ შორის მის სახელზე საზღვარგარეთ რიცხული ქონების განკარგვის შეფერხება, გარდა აღნიშნულისა, შეფერხდა საბანკო ოპერაციები მონაკოს ბანკ Dუ გოტარდ-ის ანგარიშიდან, დუბაის ჩიტიბანკ-ის ანგარიშიდან და ინტერნაციონალ ბანკ ოფ აზერბაიჯან-ის ანგარიშიდან, მოპასუხეს ასევე შეეზღუდა მის სახელზე არსებული აქციების გადაცემა ან ყოველგვარი სავაჭრო ოპერაციის ჩატარება აზერბაიჯანულ კომპანიასთან – «ა. ლ-სთან» რომელიც მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის მფლობელობაშია.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის შეეზღუდა მის სახელზე რიცხული საზღვარგარეთ არსებული ქონებით სარგებლობა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ. მ-ოვის წარმომადგენელმა ი. ა-შვილმა და მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილებების ქონების გასხვისების აკრძალვის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით დ. მ-ოვის წარმომადგენელ ი. ა-შვილის შუამდგომლობა თელ-ავივის იაფოს საოლქო სასამართლოს 2010 წლის 14 თებერვლის სასწრაფო ბრძანებულებისა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების (პროტოკოლის) მოპასუხისათვის ქონების განკარგვის შეზღუდვის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ დ. მ-ოვის შუამდგომლობა თელ-ავივის იაფოს საოლქო სასამართლოს 2010 წლის 14 თებერვლის სასწრაფო ბრძანებულებისა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების (პროტოკოლის) მოპასუხისათვის ქონების განკარგვის შეზღუდვის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ორ სიტუაციას მოიცავს: ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ, ბ) უცხო ქვეყანა, გარკვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო აქტები, რომელთა ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი ითხოვს მიღებულია ისრაელის სასამართლოს მიერ. საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის რაიმე ორმხრივი შეთანხმება სამართლებრივი დახმარების გაწევის ან სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ არ არსებობს. მხარეები არც რომელიმე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრები არიან, რომელიც ამგვარ საკითხებს აწესრიგებს, შესაბამისად, ისრაელის სახელმწიფოს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულება არ აქვს ნაკისრი, აღნიშნული კი, «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის საფუძველზე, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ. მ-ოვის შუამდგომლობა არ შეესაბამება «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. მ-ოვის წარმომადგენელ ი. ა-შვილის შუამდგომლობა თელ-ავივის იაფოს საოლქო სასამართლოს 2010 წლის 14 თებერვლის სასწრაფო ბრძანებულებისა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების (პროტოკოლის) მოპასუხისათვის ქონების განკარგვის შეზღუდვის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-44-შ-1-2010

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ავიაკომპანიის «ს-ს» შპს «ა. პ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრელის, სულ 31355 აშშ დოლარისა და 51 ცენტის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს «ა. პ-მ» და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა გამოცხადებისთანავე – 2008 წლის 7 ნოემბერს, ასევე ირკვევა, რომ მოპასუხე ავიაკომპანია «ს-ს» 2008 წლის 4 აგვისტოს ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები, 2008 წლის 6 ოქტომბერს – ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილი შესახებ, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტის 2008 წლის 22 სექტემბრის დადგენილება მოპასუხის ნაცვლად არბიტრის დანიშვნის შესახებ, 2008 წლის 1 დეკემბერს კი – ამავე სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინებით მოცემული შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო ამავე პალატის 2010 წლის 13 მაისის განჩინებით დაინიშნა საქმის ზეპირი მოსმენა, რადგანაც მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრების თანახმად, მოპასუხე შპს «ს.» არ იყო ინფორმირებული საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე, შესაბამისად, მან ვერ შეძლო საარბიტრაჟო პრეტენზიაზე სათანადო შესაგებლის წარმოდგენა.

მოწინააღმდეგე მხარის შესაგებელში მითითებული გარემოების, ასევე საქმის ზეპირი განხილვისას შპს ავიაკომპანია «ს-ს» შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთხოვილ იქნა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება იყო თუ არა ავიაკომპანია «ს.» ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილი თაობაზე.

2010 წლის 14 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაეცა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს წერილობითი მომართვა, რომლის თანახმადაც მოპასუხე საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ იყო სათანადოდ ინფორმირებული, აღნიშნულ მომართვას ასევე ერთვის დამოწმებული საფოსტო შეტყობინების აქტი, რომლის თანახმადაც სასამართლო შეტყობინება ადრესატ ავიაკომპანია «ს-ს» გადაეცა 2008 წლის 6 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ შპს «ა. პ-ს» შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ავიაკომპანის «ს-ს» შპს «ა. პ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი ვალის, ასევე საარბიტრაჟო მოსაკრელის, სულ 31355 აშშ დოლარისა და 51 ცენტის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს «ა. პ-მ» და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორისმიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა გამოცხადებისთანავე – 2008 წლის 7 ნოემბერს, ასევე ირკვევა, რომ მოპასუხე ავიაკომპანია «ს-ს» 2008 წლის 4 აგვისტოს ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები, 2008 წლის 6 ოქტომბერს – ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილი შესახებ, ასევე საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდენტის 2008 წლის 22 სექტემბრის დადგენილება მოპასუხის ნაცვლად არბიტრის დანიშვნის შესახებ, 2008 წლის 1 დეკემბერს კი – ამავე სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შპს ავიაკომპანია «ს-ს» მოსაზრებას, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს საქმის განხილვის თაობაზე საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მოპასუხე მხარის არასათანადოდ ინფორმირების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე გადმოცემული დოკუმენტით – საფოსტო შეტყობინების აქტით ¹დD 010415325 □□ დასტურდება, რომ მოპასუხე მხარე დროულად და ჯეროვნად იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს ავიაკომპანია «ს-მ», სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაადასტურა წერილობით მოსაზრებაში მითითებული გარემოება მისი არასათანადოდ ინფორმირების შესახებ, კერძოდ, მან ვერ შეძლო დასახელებული ნორმის მესამე ნაწილით გათვალისწინებული სათანადო მტკიცებულების წარმოდგენა მოპასუხის არასათანადოდ ინფორმირების ფაქტის სასამართლოს მიერ გაზიარებისათვის, რაც სწორედ მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ შპს ავიაკომპანია «ს-ს» არც შუამდგომლობის მასალების გადაცემისა და არც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას სადავოდ არ გაუხდია «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობის ფაქტი.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ა. პ-ს» შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს 2008 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება შპს ავიაკომპანია «ს-სათვის» შპს «ა. პ-ს» სასარგებლოდ თანხის – 31355 აშშ დოლარისა და 51 ცენტის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2999-შ-84-2010

17 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ლატვიის რესპუბლიკის ვენტსპილსის სასამართლოს 1999 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა 1993 წლის 7 დეკემბერს თბილისის მმაჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება (ჩანაწერი 1995) 1969 წელს დაბადებულ ვ. გ-იანსა და 1972 წელს დაბადებულ ე. რ-აიას შორის. განქორწინებულებს დარჩათ ქორწინების გვარები.

ვ. გ-იანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. გ-იანის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი შუამდგომლობით ვ. გ-იანი ითხოვს ლატვიის რესპუბლიკის ვენტსპილსის სასამართლოს 1999 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც გაუქმდა 1993 წლის 7 დეკემბერს თბილისის მმაჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება (ჩანაწერი 1995) 1969 წელს დაბადებულ ვ. გ-იანსა და 1972 წელს დაბადებულ ე. რ-აიას შორის, განქორწინებულებს დარჩათ ქორწინების გვარები. საქმის მასალების თანახმად, აღსასრულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 1999 წლის 27 სექტემბერს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142.1 მუხლით დადგენილი მოთხოვნის დარღვევით, რამდენადაც შუამდგომლობა ლატვიის რესპუბლიკის ვენტსპილსის სასამართლოს 1999 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ წარმოდგენილია კანონის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, 2010 წლის 13 დეკემბერს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. ლატვიის რესპუბლიკის ვენტსპილსის სასამართლოს 1999 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება აღნიშნული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. შესაბამისად, შუამდგომლობა დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. გ-იანის შუამდგომლობა ლატვიის რესპუბლიკის ვენტსპილსის სასამართლოს 1999 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2004-შ-48-2010

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-იჩის (ქ-ავა-სა) და ჯ. კ-იჩის განცხადი დაკმაყოფილდა, 1995 წლის 7 აგვისტოს ვენს-ჰიცინგის სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინება 1784/1995 ჩაითვალა მოშლილად. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 1999 წლის 1 დეკემბერს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. ფ. გ-იჩის (ქ-ავას) წარმომადგენელმა ადვოკატმა შ. ნ-ძემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ნ. ფ. გ-იჩმა (ქ-ავა) 1995 წლის 7 აგვისტოს იქორწინა ჯ. კ-იჩზე და მიიღო მეულის გვარი – კ-იჩი.

1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე მოხდა განქორწინება, რა დროსაც ნ. კ-იჩმა დაიბრუნა ქორწინებამდელი გვარი – ქ-ავა, თუმცა მხარეს აღნიშნული ცვლილება არ დაურეგისტრირებია.

1999 წლის 16 დეკემბერს ნ. ქ-ავამ ქ. თბილისის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 11 ქორწინების სახლში იქორწინა გერმანიის მოქალაქე კ. ა. ფ. გ-იჩთან, მიიღო მეუღლის გვარი – ფ. გ-იჩი. აღნიშნული ქორწინება კვლავ ძალაშია.

ნ. ფ. გ-იჩის პირველი მეუღლე ჯ. კ-იჩი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, აღნიშნული გადაწყვეტილება არავის გაუსაჩივრებია და შესულია კანონიერ ძალაში.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, ნ. ფ. გ-იჩს სურს პირველ ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის პასპორტის აღება, თუმცა ავსტრიაში გაცემულ ბავშვის დაბადების მოწმობაში დედად მითითებულია ნ. კ-იჩი, ნ. ფ. გ-იჩის განმეორებით ქორწინების მოწმობაში კი, მის გვარად მითითებულია ქ-ავა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ვერ ადგენს არასრულწლოვანის დაბადების მოწმობაში დედად მითითებული ნ. კ-იჩისა და ნ. ქ-ავას იდენტურობას, შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ნ. ფ. გ-იჩის (ქ-ავას) წარმომადგენელ შ. ნ-ძის შუამდგომლობა ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმების თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო უმთავრესად ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით.

დასახელებული ნორმა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის იმპერატიულად ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას და აღნიშნული განისაზღვრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი წლით.

განსახილველ შემთხვევაში, ნ. ფ. გ-იჰის წარმომადგენელ შ. ნ-ძის მიერ შემოტანილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 1999 წლის 1 დეკემბერს, შუამდგომლობის ავტორმა კი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით მომართა 2010 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ადგენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალურ ვადას.

დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოდგენილია ასევე სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის დარღვევით, რამდენადაც შუამდგომლობის ავტორს ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღსრულება არ მოუთხოვია კანონის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ათწლიანი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. მან უზენაეს სასამართლოში ასეთი შუამდგომლობა წარმოადგინა მხოლოდ 2010 წლის 1 სექტემბერს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებას (კანონიერ ძალაში შევიდა 1999 წლის 1 დეკემბერს) საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვება აღნიშნული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ფ. გ-იჰის წარმომადგენელ შ. ნ-ძის შუამდგომლობა ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ხანდაზმულია, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით გათვალისწინებული განქორწინების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სპეციალური სამწლიანი ხანდაზმულობის, ისე ამავე კოდექსის 142-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან მიმართებით, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით, 142-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. ფ. გ-იჰის წარმომადგენელ შ. ნ-ძის შუამდგომლობა ფიუნფჰაუზის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2159-შ-63-2010

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «რ-ს» რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 43517 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1405.51 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 რუბლის ანაზღაურება, შ. პ-ევას რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა ნ. ბ. ბ-ევამ და რ. გ-ევამ და მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება იმ ნაწილში, რომლითაც შ. პ-ევას რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის დაკისრება.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ შ. პ-ევასათვის მატერიალური ზიანის, სახელმწიფო ბაჟისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების დაკისრების ნაწილში კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე ირკვევა, რომ შ. პ-ევა დროულად და სათანადო წესით იყო გაფრთხილებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა მოპასუხე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოსა და რ. გ-ევის შუამდგომლობები ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების შ. პ-ევასათვის თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელ ნ. ბ. ბ-ევასა რ. გ-ევის შუამდგომლობები კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების შ. პ-ევასათვის რ. გ-ევის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «რ-ს» რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 43517 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1405.51 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 რუბლის ანაზღაურება, შ. პ-ევას რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა ნ. ბ. ბ-ევამ და რ. გ-ევამ და მოითხოვეს ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება იმ ნაწილში, რომლითაც შ. პ-ევას რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის დაკისრება.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ შ. პ-ევასათვის მატერიალური ზიანის, სახელმწიფო ბაჟისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების დაკისრების ნაწილში კალაუქსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება

შესულია კანონიერ ძალაში, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე ირკვევა, რომ შ. პ-ევა დროულად და სათანადო წესით იყო გაფრთხილებული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა მოპასუხე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, კალაუჟსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების შ. პ-ევასათვის რ. გ-ევის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

კალაუჟსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელ ნ. ბ. ბ-ევასა რ. გ-ევის შუამდგომლობები კალაუჟსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების შ. პ-ევასათვის რ. გ-ევის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად კალაუჟსკის ოლქის კიროვის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შ. პ-ევს რ. გ-ევის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – 102265.14 რუბლის, სახელმწიფო ბაჟის – 1654.49 რუბლისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის – 4000 რუბლის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1090-შ-22-2010

15 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე – მცირე კერძო საწარმო «...» სარჩელის გამო მოპასუხე შპს «დ»-ს მიმართ თანხის დაკისრებისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის ანაზღაურების გადახდის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

მცირე კერძო საწარმო «...» სარჩელი აღძრა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოში შპს «დ»-ს მიმართ თანხის დაკისრებისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის ანაზღაურების გადახდის მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «დ»-ს დაევალა გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაუხადოს მცირე კერძო საწარმო «...» მიუწოდებელი საქონლის 23 500 აშშ დოლარი და საარბიტრაჟო ხარჯების ასანაზღაურებლად 2610 აშშ დოლარი, სულ 26 110 აშშ დოლარი.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე.

მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენელმა გ. ბ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში. შუამდგომლობა და თანდართული მასალების ასლები გაეგზავნა მოპასუხე შპს «დ»-ს. საკასაციო სასამართლოს განჩინება შპს «დ»-ს დირექტორს უ. გ-მეს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 10 ივნისს.

2010 წლის 18 ივნისს შპს «დ»-ს დირექტორმა უ. გ-მემ შუამდგომლობით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა.

2010 წლის 3 აგვისტოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე ი. პ-მ წერილით მიმართა საკასაციო პალატას, სადაც მიუთითა, რომ მოპასუხე შპს «დ» უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო კანონის შესაბამისად.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ შპს «დ»-ს დირექტორ უ. გ-მის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განხილულ იქნეს ზეპირი განხილვის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მცირე კერძო საწარმო «...» სარჩელი აღძრა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოში შპს «დ»-ს მიმართ თანხის დაკისრებისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის ანაზღაურების გადახდის მოთხოვნით.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «დ»-ს დაევალა გადაწყვეტილების მიღებისთანავე გადაუხადოს მცირე კერძო საწარმო «...» მიუწოდებელი საქონლის 23 500 აშშ დოლარი და საარბიტრაჟო ხარჯების ასანაზღაურებლად 2610 აშშ დოლარი, სულ 26 110 აშშ დოლარი.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე.

მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენელმა გ. ბ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა და სასამართლოს დოკუმენტები უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებულ იქნა წარმოებაში.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებისა და «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ» 1993 წლის მინსკის კონვენციის თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე-69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ» 1993 წლის მინსკის კონვენციით და

დაადგინა:

მცირე კერძო საწარმო «...» წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სა-
სამართლოს 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «დ»-ს დაევალა გადაწყვეტილების
მიღებისთანავე გადაუხადოს მცირე კერძო საწარმო «...» მიუწოდებელი საქონლის 23 500 აშშ დოლარი და
საარბიტრაჟო ხარჯების ასანაზღაურებლად 2610 აშშ დოლარი, სულ 26 110 აშშ დოლარი – საქართველოს
ტერიტორიაზე ცნობილ იქნეს და დაექვემდებაროს აღსრულებას.
გ. ბ-შვილს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება განჩინება

1 ა-1798-შ-41-2010

15 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემ-
ბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქორწინება ა. ა-ს ძე ფ-ევსა და ც. გ-ს ასულ ფ-ევს შორის, რომელიც რეგის-
ტრირებულია 31.07.1999 წ. ს/ჩ 1389, ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის მმარის ადმინისტრაციის განყოფი-
ლების მიერ.

ც. ფ-ევამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვე-
ტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 სექტემბრის განჩი-
ნებით ც. ფ-ევას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ც. ფ-ევას შუამდგომლობა უნდა დაკმაყო-
ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს
2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქორწინება ა. ა-ს ძე ფ-ევსა და ც. გ-ს ასულ ფ-ევს შო-
რის, რომელიც რეგისტრირებულია 31.07.1999 წ. ს/ჩ 1389, ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის მმარის ადმი-
ნისტრაციის განყოფილების მიერ.

რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემ-
ბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 22
დეკემბერს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახ-
მად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სა-
სამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძა-
ლაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია
მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენე-
ბულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის
ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სა-
ქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს
აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხ-
ლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ც. ფ-ევას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ქორწინება ა. ა-ს ძე ფ-ევსა და ც. გ-ს ასულ ფ-ევს შორის, რეგისტრირებული 31.07.1999 წ. ს/ჩ 1389, ნიჟეგოროდსკის ოლქის არზამასის მმჩის ადმინისტრაციის განყოფილების მიერ.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-390-შ-19-2010

4 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ო-ძის (წარმომადგენელი ზ. ვ-შვილი) შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე – ნ. ო-ძის სარჩელის გამო ზ. შ-შვილის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1999 წლის 15 იანვარს გერმანიის ქალაქ ჰანოვერის მმჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს მოქალაქეების ნ. ო-ძისა და ზ. შ-შვილის ქორწინება. ო-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ზ. შ-შვილის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება.

გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ო-ძე და ზ. შ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 11 მარტიდან.

ნ. ო-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ნ. ო-ძის შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. ო-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1999 წლის 15 იანვარს გერმანიის ქალაქ ჰანოვერის მმჩის ბიურომ საქორწინო აქტების ჩანაწერით რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს მოქალაქეების ნ. ო-ძისა და ზ. შ-შვილის ქორწინება. ნ. ო-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ზ. შ-შვილის მიმართ და მოითხოვა მეუღლესთან განქორწინება.

გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ნ. ო-ძე და ზ. შ-შვილი განქორწინდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 11 მარტიდან.

ნ. ო-ძემ (წარმომადგენელი ზ. ვ-შვილი) შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ნ. ო-ძის შუამდგომლობა გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასა-

მართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. ო-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. გერმანიის ჰანოვერის ადმინისტრაციული სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2010 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ო-ძე და ზ. შ-შვილი განქორწინდნენ ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2045-შ-56-2010

15 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქორწინება ვ. ა-ძესა და ა. კ-ემს შორის, რეგისტრირებული 21.02.2004 წ. თბილისის/საქართველო მმჩის ბიუროს გამგის მიერ, სარეგისტრაციო ნომრით 10026339.

ვ. ა-ძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ვ. ა-ძის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ვ. ა-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქორწინება ვ. ა-ძესა და ა. კ-ემს შორის, რეგისტრირებული 21.02.2004 წ. თბილისის/საქართველო მმჩის ბიუროს გამგის მიერ, სარეგისტრაციო ნომრით 10026339.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 25 თებერვალს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია

მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. ა-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვეტცლერის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ქორწინება კ. ა-ძესა და ა. კ-ემს შორის, რეგისტრირებული 21.02.2004 წ. თბილისის/საქართველო მმჩის ბიუროს გამგის მიერ, სარეგისტრაციო ნომრით 10026339.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1525-შ-35-2010 4 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. ბ-იანცის (წარმომადგენელი ო. ო-ვა) შუამდგომლობა გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების (საქმე 1 74 F 829/09 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, საქმეზე, დ. მ. ბ-იანცის განცხადების გამო ა. ბ-იანცის მიმართ განქორწინების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

დ. მ. ბ-იანცი და ა. ბ-იანცი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2002 წლის 24 ნოემბრიდან. მხარეები 2005 წლის გაზაფხულიდან ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ორივე მხარე ქორწინებას მიიჩნევს უიღბლოდ. დ. მ. ბ-იანცმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მეუღლესთან – ა. ბ-იანცთან განქორწინება, რასაც მოპასუხე დაეთანხმა.

გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. მ. ბ-იანცის სარჩელი დაკმაყოფილდა. დ. მ. ბ-იანცი და ა. ბ-იანცი განქორწინდნენ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 8 დეკემბერს.

ა. ბ-იანცმა (წარმომადგენელი ო. ო-ვა) შუამდგომლობით მიმართა საკასაციო პალატას და გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ა. ბ-იანცის შუამდგომლობა გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. ბ-იანცის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. მ. ბ-იანცი და ა. ბ-იანცი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2002 წლის 24 ნოემბრიდან. მხარეები 2005 წლის გაზაფხულიდან ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ორივე მხარე ქორწინებას მიიჩნევს უიღბლოდ. დ. მ. ბ-იანცმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მეუღლესთან – ა. ბ-იანცთან განქორწინება, რასაც მოპასუხე დაეთანხმა.

გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. მ. ბ-იანცის სარჩელი დაკმაყოფილდა. დ. მ. ბ-ინცი და ა. ბ-იანცი განქორწინდნენ.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 8 დეკემბერს.

ა. ბ-იანცმა (წარმომადგენელი ო. ო-ვა) შუამდგომლობით მიმართა საკასაციო პალატას და გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ა. ბ-იანცის შუამდგომლობა გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონის 68-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. ბ-იანცის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. გერმანიის მარბურგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ. ბ-ინცი და ა. ბ-იანცი განქორწინდნენ ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და დაექვემდებაროს აღსრულებას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3279-შ-58-2011

9 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა თ. რ-ის წარმომადგენლის ნ. მ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ ბ. რ-ის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. მინდენის მმჩის ბიუროს მიერ 2004 წლის 14 ივლისს (ქორწინების სარეგისტრაციო 1...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა.

თ. რ-ის წარმომადგენელმა ნ. მ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 სექტემბრის განჩინებით თ. რ-ის წარმომადგენლის ნ. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. რ-ის წარმომადგენლის ნ. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქ. მინდენის მმაჩის ბიუროს მიერ 2004 წლის 14 ივლისს (ქორწინების სარეგისტრაციო 1...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. რ-ის წარმომადგენლის ნ. მ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ქ. მინდენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ქ. მინდენის მმაჩის ბიუროს მიერ 2004 წლის 14 ივლისს (ქორწინების სარეგისტრაციო 1...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1804-შ-34-2011

30 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკისმხარის 140 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით მ. ა-მეს დაეკისრა ი. პ-ვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ლ. ა-ძის სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2010 წლის 13 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 რუბლის გადახდა ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 18 მარტს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ი. პ-ვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკისმხარის 140 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ივნისის განჩინებით ი. პ-ვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკის მხარის 140 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. პ-ვას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკისმხარის 140 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით მ. ა-მეს დაეკისრა ი. პ-ვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ლ. ა-ძის სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2010 წლის 13 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 100 რუბლის გადახ-

და ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 18 მარტს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკის მხარის ¹40 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. პ-ვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკის მხარის ¹40 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ვოლოგოდსკის მხარის ¹40 სასამართლო განყოფილების 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ა-მეს დაეკისრა ი. პ-ვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – ლ. ა-მის სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2010 წლის 13 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-135-შ-2-11

30 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სახელის შეცვლა

აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნიზამის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით პ. შ. მ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, პ. შ. მ. გ-ის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით მისი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის შენიშვნებში შეტანილ იქნა ცვლილება და სახელის გრაფაში მიეთითა სახელი სევინჯი, სხვა აღნიშვნები კი უცვლელად იქნა დატოვებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა პ. შ. მ. გ-იმ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2010 წლის 7 ივნისს და იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, ასევე ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე (დაინტერესებული) მხარე – ქ.ბაქოს ... განყოფილება სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 იანვრის განჩინებით მ. შ. მ. გ-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნიზამის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ჰ. შ. მ. გ-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 110-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილებების შეტანას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შესაცვლელი ჩანაწერის არსებობის ადგილის მიხედვით. განმცხადებელს შეცვლილი ჩანაწერის საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცემა სამოქალაქო აქტის შესაბამისი ახალი მოწმობა.

ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეაც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული ნორმების თანახმად, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა აქტების შეცვლის კომპეტენცია სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს არ გააჩნიათ. ასეთი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

«სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ან მის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმ ხელშეკრული მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

ზემოთმითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 285-ე მუხლით, 408-ე მუხლის მეხამე ნაწილით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

ჰ. შ. მ. გ-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნიჰამის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1311-შ-21-11

19 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ბ-შვილმა სასამართლოს განცხადებით მიმართა შვილად აყვანის მოთხოვნით და მიუთითა, რომ 2003 წლის 26 აგვისტოს დაბადებული მცირეწლოვანი მ-შვილი ე. დედის გარდაცვალების შემდეგ მათთან ცხოვრობდა. ბავშვის მამამ წარმოადგინა განცხადება – თანხმობა მისი ქალიშვილის გაშვილების თაობაზე. ჩანაცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოითხოვეს ბავშვის მშობლების რეგისტრაციის განხორციელება,

ბავშვის გვართ «მ-შვილის» შეცვლა, ახალი გვართ – «ბ-შვილით», ხოლო სახელის, დაბადების თარიღისა და ადგილის უცვლელად დატოვება.

უკრაინის ქ. კიევის დესნიანსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, ბ-შვილი ზ. ვ-ს ძე და ჟ-სკა ო. ვ-ის ასული სასამართლომ აღიარა 2003 წლის 26 აგვისტოს დაბადებული მცირეწლოვანი ბავშვის – მ-შვილი ე-ს მშვილებლად. ცვლილებები შევიდა მ-შვილი ე-ს დაბადების შესახებ 2003 წლის 30 აგვისტოს 'ნკ ... სააქტო ჩანაწერში, მიეთითა მის მშობლებლად. მამა – ბ-შვილი ზ. ვ-ს ძე, დაბ. 1963 წლის 29 მაისს, უკრაინის მოქალაქე, მცხოვრები: ქ. კიევი, ...ს ქ. '118ა, ბინა 201; დედა – ჟ-სკა ო. ვ-ის ასული, დაბ. 1978 წლის 3 მარტს, უკრაინის მოქალაქე, მცხოვრები: ქ. კიევში, ...ს ქ. '118ა, ბინა 201-ში; ბავშვის გვარი «მ-შვილი» შეიცვალა ახალი გვართ – «ბ-შვილით», ბავშვის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი დარჩა უცვლელი.

ზ. ბ-შვილმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ. კიევის დესნიანსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ზ. ბ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ. კიევის დესნიანსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით განცხადება დაკმაყოფილდა, ბ-შვილი ზ. ვ-ს ძე და ჟ-სკა ო. ვ-ის ასული სასამართლომ აღიარა 2003 წლის 26 აგვისტოს დაბადებული მცირეწლოვანი ბავშვის – მ-შვილი ე-ს მშვილებლად. ცვლილებები შევიდა მ-შვილი ე-ს დაბადების შესახებ 2003 წლის 30 აგვისტოს 'ნკ ... სააქტო ჩანაწერში, მიეთითა მის მშობლებლად. მამა – ბ-შვილი ზ. ვ-ს ძე, დაბ. 1963 წლის 29 მაისს, უკრაინის მოქალაქე, მცხოვრები: ქ. კიევი, ...ს ქ. '118ა, ბინა 201; დედა – ჟ-სკა ო. ვ-ის ასული, დაბ. 1978 წლის 3 მარტს, უკრაინის მოქალაქე, მცხოვრები: ქ. კიევში, ...ს ქ. '118ა, ბინა 201-ში; ბავშვის გვარი «მ-შვილი» შეიცვალა ახალი გვართ – «ბ-შვილით», ბავშვის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი დარჩა უცვლელი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის ქ. კიევის დესნიანსკის რაიონის სასამართლოს სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ბ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ. კიევის დესნიანსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა ზ. ბ-შვილის განცხადება შვილების თაობაზე, კერძოდ – ბ-შვილი ზ. ვ-ს ძე და ჟ-სკა ო. ვ-ის ასული აღიარებულ იქნენ 2003 წლის 26 აგვისტოს დაბადებული მცირეწლოვანი ბავშვის – მ-შვილი ე-ს მშვილებლად. ცვლილებები შეტანილ იქნა მ-შვილი ე-ს დაბადების შესახებ 2003 წლის 30 აგვისტოს 'ნკ ... სააქტო ჩანაწერში, მიეთითა მის მშობლებლად: მამა – ბ-შვილი ზ. ვ-ს ძე, დაბ. 1963 წლის 29 მაისს, უკრაინის მოქალაქე, მცხოვრები: ქ. კიევი, ...ს ქ. '118ა, ბინა 201; დედა – ჟ-სკა ო. ვ-ის ასული, დაბ. 1978 წლის 3 მარტს, უკრაინის მოქალაქე, მცხოვრები: ქ. კიევში, ...ს ქ. '118ა, ბინა 201-ში; ბავშვის გვარი «მ-შვილი» შეიცვალა ახალი გვართ – «ბ-შვილი», ბავშვის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი დარჩა უცვლელი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2982-შ-81-10

11 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის, ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ი. ი-ლს დაეკისრა თ. რ-კის სასარგებლოდ 5350 გრივენის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა თ. რ-კმა და მოითხოვა დასახელებული განაჩენის თ. რ-კის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 სექტემბერს. მხარეებს ეცნობათ საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში. აღნიშნული განაჩენი უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით თ. რ-კის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ თ. რ-კის შუამდგომლობა უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის თ. რ-კის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უკრაინის, ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ი. ი-ლს დაეკისრა თ. რ-კის სასარგებლოდ 5350 გრივენის გადახდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა თ. რ-კმა და მოითხოვა აღნიშნული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 სექტემბერს. მხარეებს ეცნობათ საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში. აღნიშნული განაჩენი უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის თ. რ-კის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. რ-კის შუამდგომლობა უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის თ. რ-კის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ. ოდესის მალი-ნოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენი თ. რ-კის მოთხოვნის ნაწილში თანხის – 5350 გრივენის ი. ი-ლსათვის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-583-შ-14-2011

16 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბარდინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით ხ. გ-ი მ. კ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, დაბადების სააქტო ჩანაწერში შეტანილ იქნა ცვლილება და განმცხადებლის სახელად მიეთითა ხოკუმა.

ხ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბარდინის რაიონის სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ დადგენილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 28 ოქტომბერს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული დადგენილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 მარტის განჩინებით ხ. გ-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბარდინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ხ. გ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზედაც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე კანონის 73-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, დასაშვებია საქართველოს მოქალაქეთა მიერ სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, ხოლო 76-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, განცხადება სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის თაობაზე წარედგინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილ ორგანოს განმცხადებლის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის საფუძველი.

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სახელისა და გვარის შეცვლის რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მოქალაქისათვის. როგორც საქმის მასალებით დასტურდება განმცხადებელი ნ. ა. კ-ი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, რის გამოც იგი მიუხედავად საქართველოში დაბადებისა, მხოლოდ განცხადების საფუძველზე ვერ განახორციელებს საქართველოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მეშვეობით სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანას.

მოცემულ შემთხვევაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბარდინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით ხ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ხ. გ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში შეტანილ იქნა ცვლილება და განმცხადებლის სახელად მიეთითა ხ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბარდინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და შექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ბ. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბარდინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის დადგენილება ბ. გ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში სახელის «ხა-ს» «ხო-დ» შეცვლასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-764-შ-19-2011

2 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ-სა და მ. მ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

ნ. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 მარტის განჩინებით ნ. მ-ის შუამდგომლობა მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. მ-ის შუამდგომლობა ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ-სა და მ. მ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სა-

სამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ის შუამდგომლობა ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ნ. მ-სა და მ. მ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1592-შ-29-2011

27 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ლეერის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ბ-მესა და ჰ. კ-ს შორის 2003 წლის 11 აპრილს იემგუმის მმჩის ბიუროში რეგისტრირებული 11/2003 ქორწინება შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 5 ივლისს.

თ. ბ-მის წარმომადგენელმა ც. შ-იამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ლეერის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

2011 წლის 16 მაისს ჰ. კ-მა წარმოადგინა ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი თანახმაა გერმანიის ლეერის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 მაისის განჩინებით თ. ბ-მის წარმომადგენელ ც. შ-იას შუამდგომლობა გერმანიის ლეერის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ბ-მის წარმომადგენელ ც. შ-იას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმების თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო უმთავრესად ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შე-

სული გადაწყვეტილება აღსრულებდა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით.

დასახელებული ნორმა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის იმპერატიულად ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას და აღნიშნული განისაზღვრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი წლით.

განსახილველ შემთხვევაში, თ. ბ-ძის წარმომადგენელ ც. შ-იას შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 5 ივლისს, შუამდგომლობის ავტორმა კი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით მომართა 2011 წლის 11 მაისს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მის აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნიდან ამონაწერით უდავოდ დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის ცნობასაც საქართველოს ტერიტორიაზე შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან, არ არსებობს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ცნობის წინაპირობები, თ. ბ-ძის წარმომადგენელ ც. შ-იას შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძოს სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ბ-ძის წარმომადგენელ ც. შ-იას შუამდგომლობა გერმანიის გერმანიის ლეერის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა შესახებ არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1541-შ-28-11

22 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა გ. მ-ძის წარმომადგენლის მ. მ-ძის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი გერმანიის ოსნაბრიუკის პირველი უწყების სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ე. მ-ძის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ოსნაბრიუკის პირველი უწყების სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ოსნაბრიუკის მმაჩის ბიუროს მიერ 2004 წლის 22 სექტემბერს (საქორწინო რეგისტრაციის ნომერი ...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა.

გ. მ-ძის წარმომადგენელმა მ. მ-მემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ოსნაბრიუკის პირველი უწყების სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. მ-ძის წარმომადგენლის მ. მ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ოსნაბრიუკის პირველი უწყების სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა ოსნაბრიუკის მმაჩის ბიუროს მიერ 2004 წლის 22 სექტემბერს (საქორწინო რეგისტრაციის ნომერი ...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის ოსნაბრიუკის პირველი უწყების სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. მ-ძის წარმომადგენლის მ. მ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ოსნაბრიუკის პირველი უწყების სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ოსნაბრიუკის მმაჩის ბიუროს მიერ 2004 წლის 22 სექტემბერს (საქორწინო რეგისტრაციის ნომერი ...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1384-შ-22-2011

18 ივლისი, 2011 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ა. ფ-სა და რ. კ-შვილს შორის შეწყდა ქორწინება.

რ. კ-შვილმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 31 იანვარს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ რ. კ-შვილის შუამდგომლობა როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით რ. კ-შვილსა და ა. ფ-ს (შ-ოს) შორის შეწყდა ქორწინება.

როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

რ. კ-შვილის შუამდგომლობა როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას როზენჰაიმის საოლქო სასამართლოს 2011 წლის 31 გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა რ. კ-შვილსა და ა. ფ-ს (შ-ოს) შორის რეგისტრირებული ქორწინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-673-შ-16-2011

29 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ა. მ-მესა და ტ. კ-გერს შორის 2005 წლის 21 ნოემბერს საბურთალოს მმჩის ბიუროში რეგისტრირებული 'მნ ... ქორწინება შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 2 აპრილს.

ა. მ-მემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის განჩინებით ა. მ-მის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ა.მ-ძის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

განსახილველ შემთხვევაში ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2008 წლის 2 აპრილს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ შუამდგომლობის ავტორი უთითებს, რომ ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება აღსრულებულია გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მისი აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მიანიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია და არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული საფუძვლიდან გამომდინარე ასევე არ არსებობს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის წინაპირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა. მ-ძის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. მ-ძის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ჰერნალსის სამხარეო სასამართლოს 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-1683-შ-30-2011

5 აგვისტო, 2011 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალაფიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ყაზახეთის რესპუბლიკის ქატირაუს 12 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენით ლ. წ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნული განაჩენით თ. ლ-ს სამოქალაქო სარჩელის განხილვის შედეგად დაადგინა, რომ ლ. წ-ას თ. ლ-ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5169100 ტენგეს გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა თ. ნ. ასულმა ლ-მ. შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს საქართველოს ტერიტორიაზე განაჩენის იმ ნაწილში ცნობას და აღსასრულებლად მიქცევას, რომლითაც ლ. წ-ას მის სასარგებლოდ დაეკისრა 5169100 ტენგეს გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის განჩინებით თ. ნ. ასული ლ-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ქატირაუს 12 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენით თ. ლ-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. წ-ას მის სასარგებლოდ დაეკისრა 5169100 ტენგეს გადახდა.

შუამდგომლობაზე თანდართული ქატირაუს 12 სასამართლოს ცნობით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 14 ივლისს და იგი დასახელებულ ნაწილში ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, ყაზახეთის რესპუბლიკის ქატირაუს 12 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც თ. ლ-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. წ-ას თ. ლ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 5169100 ტენგეს გადახდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ნ. ასული ლ-ს შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ქატირაუს 12 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენის (საქმე 11-116/10) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის ქატირაუს 12 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც თ. ლ-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. წ-ას თ. ლ-ს სასარგებლოდ დაეკისრა 5169100 ტენგეს გადახდა;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-725-შ-17-2011

5 აგვისტო, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის განაჩენით ი. შ ძე გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ ქონების ფარულად გატაცებაში (ქურდობაში), რისთვისაც მას მსჯავრი დაედო ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნული განაჩენით ვ. რ-ისა და ა. გ-ის სამოქალაქო სარჩელების განხილვის შედეგად დაადგინა შემდეგი: ი. შ ძე გ-ას ვ. ეგორის ძე რ-ის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისროს 788 480 რუბლის, ხოლო ა. ნ. ძე გ-ის სასარგებლოდ – 2 870 000 რუბლის გადახდა. ამავე განაჩენით ი. შ ძე გ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 182 920 რუბლის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის, 16 300 რუბლის ოდენობის საპროცესო დანახარჯის, მთლიანობაში 199 220 რუბლის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლომ, ვ. რ-მა და ა. გ-მა. ვ. რ-ისა და ა. გ-ის მოთხოვნაა საქართველოს ტერიტორიაზე განაჩენის იმ ნაწილში ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, რომლითაც ი. გ-ას დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თითოეული მათგანის სასარგებლოდ დაეკისრა შესაბამისი თანხების გადახდა. ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლო ითხოვს ი. გ-ასათვის სახელმწიფო ბაჟისა და საპროცესო დანახარჯების სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსასრულებლად მიქცევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის განჩინებით ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს, ვ. რ-ისა და ა. გ-ის შუამდგომლობები მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის განაჩენით ი. შ ძე გ-ას ვ. ე-ს ძე რ-ის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 788 480 რუბლის, ხოლო ა. ნ. ძე გ-ის სასარგებლოდ – 2 870 000 რუბლის გადახდა. ამავე განაჩენით ი. შ ძე გ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 182 920 რუბლის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის, 16 300 რუბლის ოდენობის საპროცესო დანახარჯის, მთლიანობაში 199 220 რუბლის გადახდა.

შუამდგომლობაზე თანდართული ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს ცნობით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 20 ივლისს და იგი დასახელებულ ნაწილში ბელორუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის განაჩენი იმ ნაწილებში, რომლებითაც ი. შ ძე გ-ას ვ. ეგორის ძე რ-ის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 788 480 რუბლის, ხოლო ა. ნ. ძე გ-ის სასარგებლოდ – 2 870 000 რუბლის გადახდა, აგრეთვე, ი. შ ძე გ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 182 920 რუბლის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის, 16 300 რუბლის ოდენობის საპროცესო დანახარჯის, მთლიანობაში 199 220 რუბლის გადახდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს, ვ. რ-ისა და ა. გ-ის შუამდგომლობები ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის განაჩენის (საქმე 1...) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიეცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის განაჩენი იმ ნაწილებში, რომლებითაც ი. შ ძე გ-ას ვ. ეგორის ძე რ-ის სასარგებლოდ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 788 480 რუბლის, ხოლო ა. ნ. ძე გ-ის სასარგებლოდ – 2 870 000 რუბლის გადახდა, აგრეთვე, ი. შ ძე გ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა 182 920 რუბლის ოდენობის სახელმწიფო ბაჟის, 16 300 რუბლის ოდენობის საპროცესო დანახარჯის, მთლიანობაში 199 220 რუბლის გადახდა;

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ას-596-562-2011

27 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მოსამართლე – ბ. ალავიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე რ. ბ-ძისა და ბ. ს-ძის წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინებაზე, საქმეზე – ბ. ს-ძის, ს. წ-ის და რ. ბ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხე შპს სამშობიარო სახლის მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსახილველად გადმოეცა რ. ბ-ძისა და ბ. ს-ძის წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით მოცემულ საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და კასატორების წარმომადგენელს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში, საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის – 300-300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, სასამართლო შეტყობინება მხარეს ჩააბაროს აგრეთვე ტელეფონის საშუალებით. აღნიშნული ტიპის შეტყობინების ნამდვილობისათვის კანონმდებელი უთითებს, რომ საქმეში იყოს სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ შედგენილი აქტი სატელეფონო შეტყობინების მხარისათვის ჩაბარების თაობაზე. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1-ელი ნაწილი კი ადგენს, რომ სასამართლო დამოუკიდებლად წყვეტს ადრესატს შეტყობინება რა ფორმით ჩააბაროს.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სასამართლო მოხელის მიერ შედგენილი აქტით დასტურდება, რომ კასატორების წარმომადგენელს – დ. დ-ძეს ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის შესახებ საკასაციო სასამართლოს განჩინების საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი 2011 წლის 16 მაისს ეცნობა საქმეში მითითებულ ნომერზე სატელეფონო შეტყობინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელზე (საკასაციო საჩივარზე) დადგენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინება მხარეებს (მათ წარმომადგენლებს) აცნობოს ტელეფონით, თუ ხარვეზი შეეხება ამ კოდექსის 183-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სარჩელის (საკასაციო საჩივრის) ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. ასეთი წესით ინფორმირების შემთხვევაში ხარვეზის შესახებ განჩინება სატელეფონო შეტყობინების განხორციელების დღეს ჩაბარებულად ითვლება.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი შეეხებოდა მის ფორმალურ და არა შინაარსობრივ მხარეს (არ იყო წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი), პალატა თვლის, რომ კასატორების წარმომადგენელს (კასატორს) კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილი ვადის შესახებ განჩინება 2011 წლის 16 მაისს. ამდენად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი ხუთდღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 16 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 20 მაისს.

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, ბ. ს-ძის წარმომადგენელმა დ. დ-ძემ განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და ადვოკატის მოწმობა, რაც შეეხება მეორე კასატორს, რ. ბ-ძეს, მას ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავს სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ბ-ძისა და ბ. ს-ძის წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი რ. ბ-ძის საკასაციო პრეტენზიის ნაწილში უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დასახელებული ნორმა წარმოადგენს ერთგვარ სამოქალაქოსამართლებრივ სანქციას იმ მხარის მიმართ, რომელმაც სასამართლო განჩინებით დადგენილი საპროცესო ვადის განმავლობაში არ განახორციელა მისთვის დაკისრებული საპროცესო მოქმედება. ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს მოცემულ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის სრულად გამოსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 396-ე მუხლის მესამე ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ბ-ძისა და ბ. ს-ძის წარმომადგენელ დ. დ-ძის საკასაციო საჩივარი რ. ბ-ძის საკასაციო პრეტენზიის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინებაზე დარჩეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1-ა-548-შ-10-11

17 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სამეცნიერო საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2»-ის წარმომადგენლის თ. შ-ძის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შპს «...ს» მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით შპს «...ს» დაეკისრა გადაწყვეტილების მიღებისთანავე სამეცნიერო საწარმოო კერძო საწარმო «...-2-ს» დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება –

1243929.01 აშშ დოლარი, თანხის გადახდის დაგვიანებისათვის ჯარიმა – **62196.45** აშშ დოლარი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – **17393.58** აშშ დოლარი, სულ **1323519.61** აშშ დოლარი.

სამეცნიერო-საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2-ის» წარმომადგენელმა თ. შ-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და იშუამდგომლა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს **2010** წლის **27** ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე, – **2010** წლის **27** ივლისს, მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები, რეგლამენტი და არბიტრთა სია, უწყება საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ეცნობა საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობას და ასევე ჩაბარდა **2010** წლის **27** ივლისის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია «...ბანკის» მიერ გაცემული ცნობის ასლი, რომლის თანახმადაც მოდავე მხარეთა შორის **2009** წლის **30** ოქტომბერს დადებული **100/09** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა შპს «...ს» მოსარჩელის ანგარიშზე არ ჩაურციხავს.

მიუხედავად კანონით დადგენილი წესით მოპასუხე შპს «...ს» ინფორმირებისა, მოპასუხეს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენია და არც საქმის განხილვაში მიუღია მონაწილეობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **10** მარტის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს **2010** წლის **27** ივლისის გადაწყვეტილებისა და მისი აღუსრულებლობის თაობაზე გაცემული ცნობის დედნის ან სათანადოდ დამოწმებული ასლის სახით წარმოდგენა, ასევე სამეცნიერო-საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2-ის» მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **98-ე** მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგენილი მინდობილობის წარმოდგენა, სადაც სათანადოდ მიეთითებოდა მარწმუნებლის სახელით სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე.

ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში სამეცნიერო საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2-ის» წარმომადგენელმა თ. შ-მემ განცხადებით მომართა სასამართლოს და დადგენილი ხარვეზი სრულად გამოასწორა, დამატებით კი წარმოადგინა უკრაინის კომსოპოლსკის რაიონის ქ...ს სახელმწიფო სააღსრულებო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს **2010** წლის **27** ივლისის გადაწყვეტილების აღუსრულებლობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **4** აპრილის განჩინებით სამეცნიერო საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2-ის» წარმომადგენლის თ. შ-მის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს **2010** წლის **27** ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ სამეცნიერო საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2-ის» წარმომადგენლის თ. შ-მის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს **2010** წლის **27** ივლისის გადაწყვეტილებით შპს «...ს» დაეკისრა გადაწყვეტილების მიღებისთანავე სამეცნიერო საწარმოო კერძო საწარმო «...-2-ს» დაუყოვნებლივ აღუზღაუროს საქონლის ღირებულება – **1243929.01** აშშ დოლარი, თანხის გადახდის დაგვიანებისათვის ჯარიმა – **62196.45** აშშ დოლარი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – **17393.58** აშშ დოლარი, სულ **1323519.61** აშშ დოლარი.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის **68-ე**, **69-ე** მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს **2010** წლის **27** ივლისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის **68-ე**, **69-ე** მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **285-ე** მუხლით და

დაადგინა:

1. სამეცნიერო საწარმოო კერძო დაწესებულება «...-2»-ის წარმომადგენლის თ. შ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...ს» დაეკისრა გადაწყვეტილების მიღებისთანავე სამეცნიერო საწარმოო კერძო საწარმო «...-2-ს» დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება – 1243929.01 აშშ დოლარი, თანხის გადახდის დაგვიანებისათვის ჯარიმა – 62196.45 აშშ დოლარი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 17393.58 აშშ დოლარი, სულ 1323519.61 აშშ დოლარი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1-ა-1107-შ-20-11

17 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა შპს «სკვ «... ლტდ»-ს წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შპს «დ-ს» მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს AR 1217/2009 გადაწყვეტილებით შპს «დ-ს» დაევალა დაუყოვნებლივ, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს შპს სკვ «... ლტდ-ს» ძირითადი ვალი – 37515.52 აშშ დოლარი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 3450.93 აშშ დოლარი, სულ 40966 აშშ დოლარი და 45 ცენტი.

შპს სკვ «... ლტდ-ს» წარმომადგენელმა გ. ბ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და იშუამდგომლა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს AR 1217/2009 გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

გ. ბ-შვილის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ (წარმოდგენს საბოლოო გადაწყვეტილებას, მოპასუხე შპს «დ.» ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელისა და თანდართული მასალების ასლები, რეგლამენტი და არბიტრთა სია, უწყება საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, მოპასუხის მოთხოვნით საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობაში არბიტრად დაინიშნა ერთ-ერთი წევრი, მოპასუხეს საარბიტრაჟო სხდომაზე მონაწილეობა არ მიუღია და არც წერილობითი შესაგებელი წარუდგენია საარბიტრაჟო პრეტენზიაზე.

საქმის მასალებს ასევე ერთვის უკრაინის აღმასრულებელი წარმოების ერთიანი სახელმწიფო რეესტრიდან მოკლე ამონაწერი, რომლის თანახმადაც მოვალე შპს «დ-ის» მიმართ აღმასრულებელი წარმოების ერთიანი რეესტრში ინფორმაცია არ არსებობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აპრილის განჩინებით შპს სკვ «... ლტდ»-ს წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს სკვ «... ლტდ»-ს წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს A# 1217/2009 გადაწყვეტილებით შპს «დ-ს» დაევალა დაუყოვნებლივ, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს შპს სკვ «... ლტდ-ს» ძირითადი ვალი – 37515.52 აშშ დოლარი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 3450.93 აშშ დოლარი, სულ 40966 აშშ დოლარი და 45 ცენტი.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს სკვ «... ლტდ»-ს წარმომადგენლის გ. ბ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს A# 1217/2009 გადაწყვეტილებით შპს «...ს» დაევალა დაუყოვნებლივ, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებისთანავე, გადაუხადოს შპს სკვ «... ლტდ-ს» ძირითადი ვალი – 37515.52 აშშ დოლარი და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 3450.93 აშშ დოლარი, სულ 40966 აშშ დოლარი და 45 ცენტი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-764-შ-19-201

12 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალაფიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ-სა და მ. მ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

ნ. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 3 მაისს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 მარტის განჩინებით ნ. მ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. მ-ის შუამდგომლობა ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ნ. მ-სა და მ. მ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. მ-ის შუამდგომლობა ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ლერტეს საოლქო სასამართლოს 2008 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა ნ. მ-სა და მ. მ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

¹ ა-550-შ-11-2011

9 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «ბ-ლს» დაეკისრა გადაწყვეტილების მიღებისთანავე შპს «რ. ა-ოს» დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება – 543801 აშშ დოლარი, თანხის გადახდის დაგვიანებისათვის ჯარიმა – 27190,1 აშშ დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 12727,93 აშშ დოლარი, სულ, 583719,03 აშშ დოლარი აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი ხელმოწერისთანავე და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

შპს «რ. ა-ოს» წარმომადგენელ თ. შ-მემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აპრილის განჩინებით შპს «რ. ა-ოს» წარმომადგენელ თ. შ-მის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს «რ. ა-ოს» წარმომადგენელ თ. შ-მის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «ბ-ლს» დაეკისრა გადაწყვეტილების მიღებისთანავე შპს «რ. ა-ოს» დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება – 543801 აშშ დოლარი, თანხის გადახდის დაგვიანებისათვის ჯარიმა – 27190,1 აშშ დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 12727,93 აშშ დოლარი, სულ, 583719,03 აშშ დოლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი ხელმოწერისთანავე და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «რ. ა-ოს» წარმომადგენელ თ. შ-ძის შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «ბ-ლს» დაეკისრა გადაწყვეტილების მიღებისთანავე შპს «რ. ა-ოს» დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება – 543801 აშშ დოლარი, თანხის გადახდის დაგვიანებისათვის ჯარიმა – 27190,1 აშშ დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელი – 12727,93 აშშ დოლარი, სულ, 583719,03 აშშ დოლარი.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-153-შ-4-2011

4 აპრილი, 2011 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მაინის ოფენბახის საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით მაინის ოფენბახში 2005 წლის 20 მაისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა; დადგინდა, რომ წილის გათანაბრება არ განხორციელდებოდა; აქტის ხარჯები თანაბრად განაწილდებოდა.

მ. პ-რემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის განჩინებით მ. პ-რის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ მ. პ-რის (წარმომადგენელი ნ. ბ-ია) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გერმანიის მაინის ოფფენბახის საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით მაინის ოფფენბახში 2005 წლის 20 მაისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა.

გერმანიის მაინის ოფფენბახის საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ძალაშია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის მაინის ოფფენბახის საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მაინის ოფფენბახში 2005 წლის 20 მაისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. პ-რის (წარმომადგენელი ნ. ბ-ია) შუამდგომლობა გერმანიის მაინის ოფფენბახის საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე ¹ 312 F 1861/07 შ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის მაინის ოფფენბახის საოჯახო საქმეთა განმხილველი სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მაინის ოფფენბახში 2005 წლის 20 მაისს რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის ნომერი ...) შეწყდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-590-შ-15-2011

8 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. რონიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. გ-მესა და ტ. ა-ოვას შორის 2003 წლის 10 იანვარს შტუტგარტის მმაჩის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა, მოსარჩელეს 2005 წლის 30 ნოემბრიდან მოყოლებული ბადენ-ვიურტემბერგის გერმანიის საპენსიო დაზღვევის საპენსიო ანგარიშიდან 123 ... მოპასუხის ანგარიშზე 109 1... 508 გადაერიცხა ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა – 1.79 ევროს ოდენობით, სასამართლო ხარჯები განაწილდა მხარეთა შორის.

ა. გ-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა განქორწინების ნაწილში ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების დამოწმებული ასლით ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 17 ოქტომბერს, ასევე დასტურდება, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით (მხარეთა მონაწილეობით) და მოპასუხე ტ. ა-ოვა დაეთანხმა განქორწინების განაცხადს. ამდენად, გადაწყვეტილების ტექსტით ირკვევა, რომ მოპასუხე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

განმცხადებლის მიერვე წარმოდგენილია ქორწინების სარეგისტრაციო წიგნიდან ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის ტერიტორიაზე ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის განჩინებით ალ. გ-ძის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ა. გ-ძის შუამდგომლობა ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო უმთავრესად ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლის თანახმად, განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება აღსრულდება ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მოთხოვნით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 წლისა, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრაციის საშუალებით.

დასახელებული ნორმა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის იმპერატიულად ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას და აღნიშნული განისაზღვრება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი წლით.

განსახილველ შემთხვევაში, ა. გ-ძის მიერ შემოტანილი შუამდგომლობითა და თანდართული მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 17 ოქტომბერს, შუამდგომლობის ავტორმა კი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით მომართა 2011 წლის 4 მარტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეში წარმოდგენილი ქორწინების სარეგისტრაციო წიგნის ამონაწერის თანახმად, ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მის აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მიწვებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი ქორწინების სარეგისტრაციო წიგნის ამონაწერით უდავოდ დასტურდება რა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, რის გამოც, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით ცნობა სავალდებულო არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან, არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობები (იგი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხანდაზმულია,

ასევე აღსრულებულია გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე), ასევე არ არსებობს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის წინაპირობა.

ამდენად, ა. გ-მის შუამდგომლობა ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1132-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ა. გ-მის შუამდგომლობა ლუდვიგსბურგის საუბნო (პირველი ინსტანციის) სასამართლოს 2006 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

¹ ა-2081-შ-60-2010

27 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ი. ი-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 309-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და საბოლოოდ მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე განაჩენით ი. ი-შვილს დაეკისრა უკრაინის ოდესის ოქის შსს საქალაქო სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი საექსპერტო-კრიმინალისტიკური ცენტრის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების – 15480 გრივნისა და 95 კაპიკის გადახდა. ასევე დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება, კერძოდ: თ. რ-კის სასარგებლოდ – 5350 გრივნის, ლ. ა-ნას სასარგებლოდ – 8150 გრივნის, ლ. ს-კის სასარგებლოდ – 178000 გრივნის, ტ. შ-კოს სასარგებლოდ – 10823 გრივნის, ტ. შ-კოს სასარგებლოდ – 10823 გრივნის, ტ. რ-ს სასარგებლოდ – 200 გრივნის, ა. ვ-ვიჩის სასარგებლოდ – 32400 გრივნის, ტ. ი-კოს სასარგებლოდ – 11300 გრივნისა და ხ. დ-ს სასარგებლოდ – 25295 გრივნის გადახდა. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 სექტემბერს და უკრაინის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ.

დაზარალებულმა ა. ვ-ვიჩმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ. ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ა. ვ-ვიჩისათვის ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ა. ვ-ვიჩის შუამდგომლობა უკრაინის ქ.ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის ა. ვ-ვიჩისათვის ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში. აღნიშნული შუამდგომლობა, საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინება და შუამდგომლობაზე დართული მასალები გაგზავნილ იქნა საქმეში მითითებულ მისამართზე – ქ.თბილისი, ...ს ქ. 130, ბინა 17, თუმცა მხარეს სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპოდენცია არ ჩაბარდა, ასევე გაეგზავნა ი. ი-შვილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მისამართებზე, მაგრამ გაგზავნილი კორესპოდენციის ადრესატისათვის ჩაბარება ასევე ვერ მოხერხდა იმ საფუძველით, რომ მითითებული მისამართზე ი. ი-შვილი არ ცხოვრობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განჩინებით მხარისათვის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეტყობინების მიზნით გამოყენებულ იქნა საჯარო შეტყობინება და განჩინება განთავსდა უსაქართველოს უზენაესი სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ა. ვ-ვიჩის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ.ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენით ი. ი-შვილს ა. ვ-ვიჩის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 32400 გრივნის ოდენობით. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 12 სექტემბერს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, უკრაინის ქ.ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენი ა. ვ-ვიჩისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ვ-ვიჩის შუამდგომლობა უკრაინის ქ.ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენის ა. ვ-ვიჩისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ.ოდესის მალინოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს განაჩენი, რომლითაც ი. ი-შვილს ა. ვ-ვიჩის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 32400 გრივნის ოდენობით.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2974-შ-80-2010

2 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ერლანგენის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 1 002 F 00187/08) 2002 წლის 5 ივლისს გერმანიაში, ერლანგენის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში 232/2002 ნომრად რეგისტრირებული ქორწინება (დაქორწინებული პირები: თ. ბ-შვილი, ა. ბ-შვილი) გაუქმდა.

თ. ბ-შვილმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინებით თ. ბ-შვილის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ თ. ბ-შვილის (წარმომადგენელი ა. ბ-ია) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ერლანგენის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 1 002 F 00187/08) 2002 წლის 5 ივლისს გერმანიაში, ერლანგენის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში 232/2002 ნომრად რეგისტრირებული ქორწინება (დაქორწინებული პირები: თ. ბ-შვილი, ა. ბ-შვილი) გაუქმდა.

გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ერლანგენის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ძალაშია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ერლანგენის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც 2002 წლის 5 ივლისს გერმანიაში, ერლანგენის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში 232/2002 ნომრად რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ბ-შვილის (წარმომადგენელი ა. ბ-ია) შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ერლანგენის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ერლანგენის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც 2002 წლის 5 ივლისს გერმანიაში, ერლანგენის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში 232/2002 ნომრად რეგისტრირებული ქორწინება (დაქორწინებული პირები: თ. ბ-შვილი, ა. ბ-შვილი) გაუქმდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-474-შ-8-2011

21 მარტი, 2011 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე 12-53-2010წ.) ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ა. ა-ს ძე ბ-იას, დაბადებულს 1967 წლის 4 მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.სენაკში, ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/4-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის – წლის .. ნოემბერს დაბადებული დ. ა-ს ძე ბ-იას სარჩენად 2010 წლის 5 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე; ა. ა-ს ძე ბ-იას ასევე დაეკისრა 100 რუბლის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა; გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყონებლივ აღსრულებას.

ნ. ბ-იამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. შუამდგომლობის ავტორმა მოითხოვა ალიმენტის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინებით ნ. ბ-იას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ნ. ბ-იას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ა. ა-ს ძე ბ-იას, დაბადებულს 1967 წლის 4 მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.სენაკში, ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/4-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის – წლის .. ნოემბერს დაბადებული დ. ა-ს ძე ბ-იას სარჩენად 2010 წლის 5 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ა. ა-ს ძე ბ-იას, დაბადებულს 1967 წლის 4 მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.სენაკში, ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/4-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის – წლის .. ნოემბერს დაბადებული დ. ა-ს ძე ბ-იას სარჩენად 2010 წლის 5 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ბ-იას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე 12-53-2010წ.) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ა. ა-ს ძე ბ-იას, დაბადებულს 1967 წლის 4 მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.სენაკში, ნ. ვ-ს ასული ბ-იას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, გამომუშავების და (ან) სხვა შემოსავლის 1/4-ის ოდენობით არასრულწლოვანი შვილის – წლის .. ნოემბერს დაბადებული დ. ა-ს ძე ბ-იას სარჩენად 2010 წლის 5 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3148-შ-88-2010

7 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ნიურნბერგის პირველი ინსტანციის საუბნო სასამართლოს საოჯახო საქმეთა დეპარტამენტის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე ¹ 103 ჭ 3301/09) ნიურნბერგის მმჩის განყოფილების გამგის თანდასწრებით მეუღლეებს შორის გაფორმებული ქორწინება (ქორწინების სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერი '2604) გაუქმდა; დადგინდა, რომ სასამართლოს გზით ქონების გაყოფის პროცესში მომჩივანის უფლების ხარჯზე ჩრდილოეთ ბაიერნის გერმანიის საპენსიო დაზღვევიდან (დაზღვევის ნომერი – ...), მოპასუხის სასარგებლოდ ჩრდილოეთ ბაიერნის გერმანიის საპენსიო დაზღვევის არსებულ ანგარიშზე ..., 31.10.2009წ-თან დაკავშირებით გადაირიცხოს თანხა 0.2755 საანგარიშსწორებო კოეფიციენტის ოდენობით. სასამართლოს გზით ქონების შიდა გაყოფის პროცესში მოპასუხის უფლების ხარჯზე ჩრდილოეთ ბაიერნის გერმანიის საპენსიო დაზღვევიდან (სადაზღვევო ნომერი – ...), მოპასუხის სასარგებლოდ ჩრდილოეთ ბაიერნის გერმანიის საპენსიო დაზღვევის არსებულ ანგარიშზე ..., 31.10.2009წ-თან დაკავშირებით გადაირიცხოს თანხა 30000 საანგარიშსწორებო კოეფიციენტის ოდენობით. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ პროცესის ხარჯები მხარეებს შორის გადანაწილდებოდა.

ი. ბ-ანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მხარეებს შორის განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით ი. ბ-ანის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. ბ-ანის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ნიურნბერგის პირველი ინსტანციის საუბნო სასამართლოს საოჯახო საქმეთა დეპარტამენტის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე ¹ 103 F 3301/09) ნიურნბერგის მმჩის განყოფილების გამგის თანდასწრებით მეუღლეებს შორის გაფორმებული ქორწინება (ქორწინების სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერი '2604) გაუქმდა.

გერმანიის ნიურნბერგის პირველი ინსტანციის საუბნო სასამართლოს საოჯახო საქმეთა დეპარტამენტის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 26 ივნისს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ნიურნბერგის პირველი ინსტანციის საუბნო სასამართლოს საოჯახო საქმეთა დეპარტამენტის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნიურნბერგის მმჩის განყოფილების გამგის თანდასწრებით მეუღლეებს შორის გაფორმებული ქორწინება (ქორწინების სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერი '2604) გაუქმდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ი. ბ-ანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად გერმანიის ნიურნბერგის პირველი ინსტანციის საუბნო სასამართლოს საოჯახო საქმეთა დეპარტამენტის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნიურნბერგის მმჩის განყოფილების გამგის თანდასწრებით მეუღლეებს შორის გაფორმებული ქორწინება (ქორწინების სარეგისტრაციო წიგნის ჩანაწერი '2604) გაუქმდა.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება განჩინება

1ა-136-შ-3-2011

23 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.სიმფეროპოლის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-მეს დაეკისრა ო. ი-ენკოს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის (2006 წლის 8 იანვარს დაბადებული ე. ი-ენკო) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – 300 გრივნის გადახდა 2009 წლის 5 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო შესაკრებელი 51 გრივნის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 5 ოქტომბერს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ო. ი-ენკომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის ქ.სიმფეროპოლის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით ო. ი-ენკოს შუამდგომლობა უკრაინის ქ.სიმფეროპოლის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ო. ი-ენკოს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ.სიმფეროპოლის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-მეს დაეკისრა ო. ი-ენკოს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის (2006 წლის 8 იანვარს დაბადებული ე. ი-ენკო) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – 300 გრივნის გადახდა 2009 წლის 5 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო შესაკრებელი 51 გრივნის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 5 ოქტომბერს და უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, უკრაინის ქ.სიმფეროპოლის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ო. ი-ენკოს შუამდგომლობა უკრაინის ქ.სიმფეროპოლის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად თ. ა-ძეს დაეკისრა ო. ი-ენკოს სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის (2006 წლის 8 იანვარს დაბადებული ე. ი-ენკო) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – 300 გრივნის გადახდა 2009 წლის 5 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3026-შ-85-2010

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ევპატორიის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-იანს ჩამოერთვა მშობლის უფლება მცირეწლოვანი შვილის – მ. ა-იანის მიმართ და მის მეურვედ დაინიშნა ვ. კ-ინი. ვ. ა-იანს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ არანაკლებ 30%-ის საარსებო მინიმუმის ბავშვის სარჩენად, ყოველთვიურად 2009 წლის 22 სექტემბრიდან მის სრულწლოვანებამდე. ვ. ა-იანს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 8 გრივნისა 50 კაპიკის გადახდა.

ვ. კ-ინმა და ევპატორიის საქალაქო სასამართლომ შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ალიმენტისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ ვ. ა-იანს გაეგზავნა სასამართლო უწყება, მაგრამ არ ჩაჰბარდა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე. გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2001 წლის 17 სექტემბერს. ასევე დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ვ. კ-ინისა და ევპატორიის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ვ. კ-ინისა და ევპატორიის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ევპატორიის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ევპატორიის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-იანს ჩამოერთვა მშობლის უფლება მცირეწლოვანი შვილის – მ. ა-იანის მიმართ და მის მეურვედ დაინიშნა ვ. კ-ინი. ვ. ა-იანს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ არანაკლებ 30%-ის საარსებო მინიმუმის ბავშვის სარჩენად, ყოველთვიურად 2009 წლის 22 სექტემბრიდან მის სრულწლოვანებამდე. ვ. ა-იანს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 8 გრივნისა 50 კაპიკის გადახდა.

შუამდგომლობის ავტორების მიერ წარმოდგენილი ცნობებით დასტურდება, რომ ვ. ა-იანს გაეგზავნა სასამართლო უწყება, მაგრამ არ ჩაჰბარდა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე. გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2001 წლის 17 სექტემბერს. ასევე დასტურდება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ევპატორიის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. კ-ინისა და ევპატორიის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ევპატორიის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის ქ. ევპატორიის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ა-იანს ჩამოერთვა მშობლის უფლება მცირეწლოვანი შვილის – მ. ა-იანის მიმართ და მის მეურვედ დაინიშნა ვ. კ-ინი. ვ. ა-იანს დაეკისრა ალიმენტის გადახდა შემოსავლის 1/4-ის, მაგრამ არანაკლებ 30%-ის საარსებო მინიმუმის ბავშვის სარჩენად, ყოველთვიურად 2009 წლის 22 სექტემბრიდან მის სრულწოვანებამდე. ვ. ა-იანს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 8 გრივენისა 50 კაპიკის გადახდა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1745-შ-32-2011

26 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით თ. კ-ასა და ნ. კ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

თ. კ-ამ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 12 აპრილს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. კ-ას შუამდგომლობა იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო

იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით თ. კ-ასა და კ-ნს შორის შეწყდა ქორწინება. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონი-

ერ ძალაში შევიდა 2011 წლის 12 აპრილს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. კ-ას შუამდგომლობა იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას იმიერკარპატების ოლქის რახოვოს რაიონული სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც თ. კ-ასა და ნ. კ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2919-შ-42-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: განქორწინება და ბავშვის მეურვეობის უფლებით გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ლ-ის მიმართ განქორწინებისა და ბავშვზე მეურვეობის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მეურვეობის უფლება არასრულწლოვან ბავშვზე – ლ. გ. ა-ზე გადაეცა დედას, თ. ა-ს.

თ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების, განქორწინებისა და ბავშვზე მეურვეობის უფლებით გადაცემის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 აგვისტოდან, ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მხარეები სასამართლო სხდომის დროსა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ამასთან, მოსარჩელე და მოპასუხე სხდომაზე მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლების მეშვეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინებით თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და არასრულწლოვანი ბავშვი – ლ. გ. ა-ი მეურვეობის უფლებით გადაეცა დედას, თ. ა-ს.

მხარის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 აგვისტოდან.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება განქორწინებისა და ბავშვის მეურვეობის უფლებით გადაცემის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მეურვეობის უფლება, არასრულწლოვან ბავშვზე – ლ. გ. ა-ზე, გადაეცა დედას – თ. ა-ს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3218-შ-54-2011

24 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ვ. კ-ს, შვილის – 1990 წლის 14 ივნისის დაბადებული მ. კ-ას სარჩენად, დაეკისრა ვ.ხ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულების ანგარიშზე ერთდროულად 12836060 რუბლის გადახდა. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ პირველი საბაზო სიდიდის სახელმწიფო ბაჟის – 35000 რუბლისა სასამართლო ხარჯების – 12700 რუბლის გადახდა. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 7 ივნისის და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ვ.ხ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულებამ და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლო-

გოისკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ამ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ვ.ზ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულებისა და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნეს წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის ვ.ზ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულებისა და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ას შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ვ. კ-ს, შვილის – 1990 წლის 14 ივნისის დაბადებული მ. კ-ას სარჩენად, დაეკისრა ვ.ზ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულების ანგარიშზე ერთდროულად 12836060 რუბლის გადახდა. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ პირველი საბაზო სიდიდის სახელმწიფო ბაჟის – 35000 რუბლისა სასამართლო ხარჯების – 12700 რუბლის გადახდა. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 7 ივნისს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბელარუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის ვ.ზ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულებისა და ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ე. ნ-ას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის მინსკის ოლქის ლოგოისკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. კ-ს, შვილის – 1990 წლის 14 ივნისის დაბადებული მ. კ-ას სარჩენად, დაეკისრა ვ.ზ.ხორუჟეის სახელობის პოლიგრაფიის სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკური კოლეჯის განათლების დაწესებულების ანგარიშზე ერთდროულად 12836060 რუბლის გადახდა. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ პირველი საბაზო სიდიდის სახელმწიფო ბაჟის – 35000 რუბლისა სასამართლო ხარჯების – 12700 რუბლის გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2932-შ-43-2011

2 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. რ-ის წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მარკ ბერნდ რ-ის მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით დუისბურგ-მიტეს მმაჩის ბიუროს მიერ 2009 წლის 4 აგვისტოს (ქორწინების სარეგისტრაციო ნომერი ...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა.

ნ. რ-ის წარმომადგენელმა გ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ნ. რ-ის წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობა გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. რ-ის წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა დუისბურგ-მიტეს მმაჩის ბიუროს მიერ 2009 წლის 4 აგვისტოს (ქორწინების სარეგისტრაციო ნომერი ...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. რ-ის წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის დუისბურგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა დუისბურგ-მიტეს მმაჩის ბიუროს მიერ 2009 წლის 4 აგვისტოს (ქორწინების სარეგისტრაციო ნომერი ...) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1532-შ-27-2011

17 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის, ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება მ. ვ-სა და ე. წ-ს შორის.

მ. ვ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და იშუამდგომლა ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის 2011 წლის 7 იანვრის ოქმითა და საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 11877 მოწმობით დასტურდება, რომ ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2011 წლის 25 ივნისს მ. ვ-ის წარმომადგენელმა თ. კ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 აგვისტოს განჩინებით მ. ვ-ის შუამდგომლობა ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ვ-ის შუამდგომლობა ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (მხარეებმა უარი განაცხადეს მის გასაჩივრებაზე).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ვ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის, ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის, ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. ვ-ისა და ე. წ-ის ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ და დადგინდა მხარეთა ქორწინების შეწყვეტა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3320-შ-60-2011

28 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე 1 2-5/08) ი. ს-ს ასული გ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ა. გ-ს, საქართველოს მოქალაქეს, პირადი ნომრით ..., პასპორტის 1..., დაბადებულს 1974 წლის 25 ოქტომბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.თბილისში, ... 11-ში, დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის გამომუშავების 1/4 ნაწილის ოდენობით ი. ს-ს ასული გ-ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, დაბადებულის 1978 წლის 3 მარტს, მცხოვრების რუსეთის ფედერაციაში, ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფაში, პ-ის ქუჩის 76-17-ში, სასარგებლოდ, შვილის (ქალიშვილის) – ან. ა-ს ასული გ-ის, დაბადებულის 2006 წლის 6 აგვისტოს, სარჩენად, ყოველთვიურად, დაწყებული 2007 წლის 1 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს ი. ს-ს ასულმა გ-მა (დ-ამ) და რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელმა მოსამართლემ ი. გ-მა მოითხოვა ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების ნაწილში. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელ მოსამართლეს, იგი შუამდგომლობით მოითხოვს მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას იმ ნაწილში, რომლითაც ა. გ-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ი. ს-ს ასული გ-ისა (დ-ა) და რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით (საქმე 1 2-5/08) ი. ს-ს ასული გ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ა. გ-ს, საქართველოს მოქალაქეს, პირადი ნომრით ..., პასპორტის 1 ..., დაბადებულს 1974 წლის 25 ოქტომბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.თბილისში, ... 11-ში, დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის გამომუშავების 1/4 ნაწილის ოდენობით ი. ს-ს ასული გ-ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, დაბადებულის 1978 წლის 3 მარტს, მცხოვრების რუსეთის ფედერაციაში, ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფაში, პ-ის ქუჩის 76-17-ში, სასარგებლოდ, შვილის (ქალიშვილის) – ან. ა-ს ასული გ-ის, დაბადებულის 2006 წლის 6 აგვისტოს, სარჩენად, ყოველთვიურად, დაწყებული 2007 წლის 1 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით.

შუამდგომლობაზე თანდართული რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის ცნობებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 16 სექტემბერს და იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე 1 2-5/08), რომლითაც ი. ს-ს ასული გ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ა. გ-ს, საქართველოს მოქალაქეს, პირადი ნომრით ..., პასპორტის 1 ..., დაბადებულს 1974 წლის 25 ოქტომბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.თბილისში, ... 11-ში, დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის გამომუშავების 1/4 ნაწილის ოდენობით ი. ს-ს ასული გ-ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, დაბადებულის 1978 წლის 3 მარტს, მცხოვრების რუსეთის ფედერაციაში, ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფაში, პ-ის ქუჩის 76-17-ში, სასარგებლოდ, შვილის (ქალიშვილის) – ან. ა-ს ასული გ-ის, დაბადებულის 2006 წლის 6 აგვისტოს, სარჩენად, ყოველთვიურად, დაწყებული 2007 წლის 1 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე, ა. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ს-ს ასული გ-ისა (დ-ა) და რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმე 1 2-5/08) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფას კალინინის რაიონის 19 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე 1 2-5/08), რომლითაც ი. ს-ს ასული გ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ა. გ-ს, საქართველოს მოქალაქეს, პირადი ნომრით ..., პასპორტის 1 ..., დაბადებულს 1974 წლის 25 ოქტომბერს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.თბილისში, ... 11-ში, დაეკისრა ალიმენტი ყველა სახის გამომუშავების 1/4 ნაწილის ოდენობით ი. ს-ს ასული გ-ის, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, დაბადებულის 1978 წლის 3 მარტს, მცხოვრების რუსეთის ფედერაციაში, ბაშკორტოსტანის რესპუბლიკის ქ.უფაში, პ-ის ქუჩის 76-17-ში, სასარგებლოდ, შვილის (ქალიშვილის) – ან. ა-ს ასული გ-ის, დაბადებული 2006 წლის 6 აგვისტოს, სარჩენად, ყოველთვიურად, დაწყებული 2007 წლის 1 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე, ა. გ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3171-შ-50-2011

28 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

შვედეთის ქ.კარლსკრონას ბლეკინჯის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 1თ772-11) შეწყდა მხარეებს, კერძოდ, ლ. ხ-სა და ფ. ჰ. მ-ის შორის 2009 წელს რეგისტრირებული ქორწინება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ხ-მა, რომელმაც მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ლ. ხ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ლ. ხ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ შვედეთის ქ.კარლსკრონას ბლეკინჯის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 1თ772-11) შეწყდა მხარეებს, კერძოდ, ლ. ხ-სა და ფ. ჰ. მ-ის შორის 2009 წელს რეგისტრირებული ქორწინება.

შვედეთის ქ.კარლსკრონას ბლეკინჯის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, შვედეთის ქ.კარლსკრონას ბლეკინჯის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება (საქმე 1თ772-11), რომლითაც შეწყდა მხარეებს, კერძოდ, ლ. ხ-სა და ფ. ჰ. მ-ის შორის 2009 წელს რეგისტრირებული ქორწინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ხ-ის შუამდგომლობა შვედეთის ქ.კარლსკრონას ბლეკინჯის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების (საქმე 1თ772-11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად შვედეთის ქ.კარლსკრონას ბლეკინჯის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება (საქმე 1თ772-11), რომლითაც შეწყდა მხარეებს, კერძოდ, ლ. ხ-სა და ფ. ჰ. მ-ის შორის 2009 წელს რეგისტრირებული ქორწინება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-474-შ-8-2011

28 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალაგაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე 1 2-53-2010.) ნ. ვ-ის ასული ბ-ას სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, ა. ას-ის ძე ბ-ას, დაბადებულს 1967 წლის 4 მარტს, მცხოვრებს საქართველოში, ქ.სენაკში, ნ. ვ-ის ასული ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის (ვაჟის) დიმიტრი ა.ის ძე ბ-ას, დაბადებულის 1997 წლის 27 ნოემბერს, სარჩენად, გამომუშავების და/ან სხვა სახის შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, ყოველთვიურად, დაწყებული 2010 წლის 5 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით ა. ას-ის ძე ბ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 9 ნოემბერს და იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელმა მოსამართლემ. შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას იმ ნაწილში, რომლითაც ა. ას-ის ძე ბ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე 1 2-53-2010.) ა. ას-ის ძე ბ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 9 ნოემბერს და იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე 1 2-53-2010.) იმ ნაწილში, რომლითაც ა. ას-ის ძე ბ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე 1 2-53-2010.) (მოპასუხისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის სერპუხოვის სასამართლო რაიონის 238-ე სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2010 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე 1 2-53-2010.) იმ ნაწილში, რომლითაც ა. ას-ის ძე ბ-ას სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3225-შ-55-2011

28 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე AB '281 □/2010) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ბ-ს» (B. Ltd), საქართველოს რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაეკისრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «პ., ლტდ-სთვის» (უკრაინა) მიწოდებული საქონლის საფასურის გადახდა 875 141.88 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე 175 028.38 აშშ დოლარი საურავის საქონლის საფასურის გადახდის დაგვიანებისთვის, 122 531.65 აშშ დოლარი პროცენტების სასაქონლო კრედიტით სარგებლობისთვის, 3 734.37 აშშ დოლარი ელევატორზე საქონლის შენახვისთვის, 21 082.18 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ანაზღაურების მიზნით, მთლიანობაში 1 197 518 აშშ დოლარი და 46 ცენტი.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით ზემოთ დასახელებულ გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველ გვერდზე სიტყვები და ციფრები: «2010 წლის 22 თებერვალი» შეიცვალა სიტყვებით და ციფრებით: «2011 წლის 22 თებერვალი».

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს «პ-ის» წარმომადგენელმა პ. ი-ემ, რომელმაც მოითხოვა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AB '281 □/2010) (აღნიშნულ გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ ამავე სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით შპს «პ-ის» შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეს – შპს «ბ-ს» განემარტა, რომ მას უფლება ჰქონდა 5 დღის ვადაში წარმოედგინა თავისი მოსაზრება შპს «პ-ის» შუამდგომლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული განჩინება, შუამდგომლობისა და მასზე თანდართული მასალების ასლებთან ერთად გადაეგზავნა შპს «ბ-ს» და ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, 2011 წლის 28 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შპს «პ-ის» შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე AB '281 □/2010) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ბ-ს» (B. Ltd), საქართველოს რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაეკისრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «პ., ლტდ-სთვის» (უკრაინა) მიწოდებული საქონლის საფასურის გადახდა 875 141.88 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე 175 028.38 აშშ დოლარი საურავის საქონლის საფასურის გადახდის დაგვიანებისთვის, 122 531.65 აშშ დოლარი პროცენტების სასაქონლო კრედიტით სარგებლობისთვის, 3 734.37 აშშ დოლარი ელევატორზე საქონლის შენახვისთვის, 21 082.18 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ანაზღაურების მიზნით, მთლიანობაში 1 197 518 აშშ დოლარი და 46 ცენტი.

ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან – 2011 წლის 22 თებერვლიდან და იგი უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. საყურადღებოა ასევე, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის თაობაზე არც მოწინააღმდეგე მხარეს – შპს «ბ-ს» მიუთითებია. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს შპს «პ-ის» შუამდგომლობის დაკმაყოფილების და უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «პ-ის» შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების (საქმე AB 1281 □/2010) (აღნიშნულ გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების შესახებ ამავე სასამართლოს 2011 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე AB 1281 □/2010), რომლითაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ბ-ს» (B. Ltd), საქართველოს რესპუბლიკა, ქ.ბათუმი, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაეკისრა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «პ., ლტდ-სთვის» (უკრაინა) მიწოდებული საქონლის საფასურის გადახდა 875 141.88 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე 175 028.38 აშშ დოლარი საურავის საქონლის საფასურის გადახდის დაგვიანებისთვის, 122 531.65 აშშ დოლარი პროცენტების სასაქონლო კრედიტით სარგებლობისთვის, 3 734.37 აშშ დოლარი ელევატორზე საქონლის შენახვისთვის, 21 082.18 აშშ დოლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ანაზღაურების მიზნით, მთლიანობაში 1 197 518 აშშ დოლარი და 46 ცენტი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-2279-შ-36-2011

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

ვ. როინიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ინგერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. უ-სა და კ. კ. უ-ს შორის 2010 წლის 29 ნოემბერს ზულცბახ/ზაარის მმარის ბიუროში გაფორმებული ქორწინება¹...შეწყდა, ამავე გადაწყვეტილებით მხარეთა შორის ფულადი თანასწორობა არ მომხდარა, ასევე განაწილდა სასამართლო ხარჯები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განცხადებით მომართა თ. უ-მა და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა გერმანიის ინგერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გერმანიის ინგერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 29 მარტს, საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო მოწინააღმდეგე მხარე (გადაწყვეტილე-

ბის თანახმად, იგი დაბარებულ იქნა სასამართლოს მიერ, თუმცა არ გამოცხადდა, ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ ქმარი არც დაინტერესებულა განქორწინების პროცესით, რაც განცხადების დაკმაყოფილების ერთ-ერთ წინაპირობად იქნა მიჩნეული). შუამდგომლობის ავტორმა ასევე წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის პირველი ივლისის განჩინებით თ.უ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს, ამავე განჩინებით კ. კ. უ-ს განემარტა აზრის გამოთქმისა და საქმის ზეპირი განხილვის მოთხოვნის უფლების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ თ. უ-ის შუამდგომლობა გერმანიის ინგბერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გერმანიის ინგბერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 29 მარტს, საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო მოწინააღმდეგე მხარე (გადაწყვეტილების თანახმად, იგი დაბარებულ იქნა სასამართლოს მიერ, თუმცა არ გამოცხადდა, ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ ქმარი არც დაინტერესებულა განქორწინების პროცესით, რაც განცხადების დაკმაყოფილების ერთ-ერთ წინაპირობად იქნა მიჩნეული).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით: ქ.ინგბერტის უზენაესი სასამართლოს ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მისი აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მიჩნეული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია და არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემული საფუძვლიდან გამომდინარე, ასევე არ არსებობს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის წინაპირობა.

ამდენად, თ. უ-ის შუამდგომლობა გერმანიის ინგბერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 63-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. უ-ის შუამდგომლობა გერმანიის, ინგბერტის უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3129-შ-49-2011

27 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინებით ზ. ჯ.-ს დაეკისრა ე. ჯ.-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – დ. ჯ.-ისა (დაბადებული 2006 წლის 17 თებერვალს) და მ. ჯ.-ის (დაბადებული 2008 წლის 20 მარტს სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 33%-ის, მაგრამ არანაკლებ 75%-ის გადახდა 2009 წლის 29 ივლისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 154114 რუბლის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 აგვისტოს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ე. ჯ.-მა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ა. ტ.-ამ შუამდგომლობებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ე. ჯ.-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ა. ტ.-ას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. ჯ.-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ა. ტ.-ას შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინებით ზ. ჯ.-ს დაეკისრა ე. ჯ.-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – დ. ჯ.-ისა (დაბადებული 2006 წლის 17 თებერვალს) და მ. ჯ.-ის (დაბადებული 2008 წლის 20 მარტს სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 33%-ის, მაგრამ არანაკლებ 75%-ის გადახდა 2009 წლის 29 ივლისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 154114 რუბლის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 აგვისტოს და ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ე. ჯ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს მოსამართლე ა. ტ-ას შუამდგომლობები ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მოგილევის ლენინის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 31 ივლისის განჩინება, რომლითაც ზ. ჯ-ს დაეკისრა ე. ჯ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების – დ. ჯ-ისა (დაბადებული 2006 წლის 17 თებერვალს) და მ. ჯ-ის (დაბადებული 2008 წლის 20 მარტს სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 33%-ის, მაგრამ არანაკლებ 75%-ის გადახდა 2009 წლის 29 ივლისიდან ბავშვების სრულწლოვანებამდე, აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის – 154114 რუბლის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2217-შ-35-2011

17 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ვისლოხის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე 12 F 70/03) გაუქმდა საქართველოში, თბილისის მმაჩის ბიუროს თანამშრომლის მიერ რეგისტრირებული ქორწინება; დადგინდა, რომ ქმრის ანგარიშიდან LVA ბადენ-ვიურტემბერგში ცოლს გადაერიცხოს ბერლინის ანგარიშზე ყოველთვიურად პენსიის სახით 37,20 ევრო, 2003 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების შესაბამისად; ასევე დადგინდა პროცესის ხარჯების ორივე მხარის მიერ დაფარვა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. რ-ემ, რომელმაც მოითხოვა მასა და მ. ჰ. ჰ-ს შორის განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივნისის განჩინებით ვ. რ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. რ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ვისლოხის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე 12 F 70/03) გაუქმდა 1997 წლის 3 დეკემბერს საქართველოში, თბილისის მმაჩის ბიუროს თანამშრომლის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (დაქორწინებული პირები: ვ. რ-ე, მ. ჰ. ჰ-ი).

გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ვისლოხის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ძალაშია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ვისლოხის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც 1997 წლის 3 დეკემბერს საქართველო-

ში, თბილისის მმჩის ბიუროს თანამშრომლის მიერ რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. რ-ის შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ვისლოხის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი ვისლოხის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2003 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც 1997 წლის 3 დეკემბერს საქართველოში, თბილისის მმჩის ბიუროს თანამშრომლის მიერ რეგისტრირებული ქორწინება (დაქორწინებული პირები: ვ. რ-ე, მ. ჰ. ჰ-ი) გაუქმდა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-2636-შ-38-11

6 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. წ-რის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას ქალაქ ვლადიკავკაზის ... რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. წ-რმა სასამართლოს განცხადებით მიმართა და აღნიშნა, რომ ზ. წ-რი და გ. წ-რი ერთი და იგივე პიროვნებაა.

სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ დაიბადა 1959 წლის 28 აგვისტოს საქართველოში, დუშეთის რაიონის სოფელ დაბადების მოწმობის თანახმად, მისი სახელია გ. წ-რი. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მას მიეცა პასპორტი, რომელშიც სახელად ჩაეწერა «ზ.ი.». გარკვეული წლების შემდეგ საბუთებში ზემოაღნიშნულმა ფაქტმა გამოიწვია არეგ-დარევა, რისი აღმოფხვრა ველარ მოახერხა, შესაბამისად მოითხოვა იურიდიული ფაქტის დადგენა.

ზ. წ-რმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას ქალაქ ვლადიკავკაზის ... რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ივლისის განჩინებით ზ. წ-რის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას ქალაქ ვლადიკავკაზის ... რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, ზ. წ-რის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 110-ე მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილებების შეტანას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შესაცვლელი ჩანაწერის არსებობის ადგილის მიხედვით. განმცხადებელს შეცვლილი ჩანაწერის საფუძველზე დაუყოვნებლივ გადაეცემა სამოქალაქო აქტის შესაბამისი ახალი მოწმობა.

ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას საქართველოს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის ორგანო არ ახდენს. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესწორება და შეცვლა წარმოებს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზედაც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული ნორმების თანახმად, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები. სახელმწიფო ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა ან შესწორება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა აქტების შეცვლის კომპეტენცია სხვა სახელმწიფოს სასამართლო ორგანოებს არ გააჩნიათ. ასეთი ვალდებულება არ არის გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

«სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ან მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

ზემოთმითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 285-ე მუხლით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. წ-რის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიას ქალაქ ვლადიკავკაზის ... რაიონული სასამართლოს 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2919-შ-42-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: განქორწინება და ბავშვის მეურვეობის უფლებით გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ლ-ის მიმართ განქორწინებისა და ბავშვზე მეურვეობის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მეურვეობის უფლება არასრულწლოვან ბავშვზე – ლ. გ. ა-ზე გადაეცა დედას, თ. ა-ს.

თ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების, განქორწინებისა და ბავშვზე მეურვეობის უფლებით გადაცემის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 აგვისტოდან, ამავდროულად გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მხარეები სასამართლო სხდომის დრო-

ისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ამასთან, მოსარჩელე და მოპასუხე სხდომაზე მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლების მეშვეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინებით თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და არასრულწლოვანი ბავშვი - ლ. გ. ა-ი მეურვეობის უფლებით გადაეცა დედას, თ. ა-ს.

მხარის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 აგვისტოდან.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება განქორწინებისა და ბავშვის მეურვეობის უფლებით გადაცემის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მეურვეობის უფლება, არასრულწლოვან ბავშვზე - ლ. გ. ა-ზე, გადაეცა დედას - თ. ა-ს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2919-შ-42-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: განქორწინება და ბავშვის მეურვეობის უფლებით გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ლ-ის მიმართ განქორწინებისა და ბავშვზე მეურვეობის უფლების მინიჭების მოთხოვნით.

გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მეურვეობის უფლება არასრულწლოვან ბავშვზე – ლ. გ. ა-ზე გადაეცა დედას, თ. ა-ს.

თ. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების, განქორწინებისა და ბავშვზე მეურვეობის უფლებით გადაცემის ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 აგვისტოდან, ამავე გადაწყვეტილებით ირვევა, რომ მხარეები სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ამასთან, მოსარჩელე და მოპასუხე სხდომაზე მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლების მეშვეობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 აგვისტოს განჩინებით თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და არასრულწლოვანი ბავშვი – ლ. გ. ა-ი მეურვეობის უფლებით გადაეცა დედას, თ. ა-ს.

მხარის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილების თანახმად, იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 4 აგვისტოდან.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება განქორწინებისა და ბავშვის მეურვეობის უფლებით გადაცემის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ა-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ნიურნბერგის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა 1997 წლის 17 სექტემბერს კობურგის მოქალაქეთა რეესტრში 205/1997 სარეგისტრაციო ნომრით მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება და მეურვეობის უფლება, არასრულწლოვან ბავშვზე – ლ. გ. ა-ზე, გადაეცა დედას – თ. ა-ს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2879-შ-40-2011

31 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ. დონეცკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ნ-ის ასული ს-ას სარჩელი გ. გ-ის მიმართ არასრულწლოვანი ბავშვის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე, სრულად დაკმაყოფილდა; გ. გ-ეს, დაბადებულს 1979 წლის 18 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ვ. ნ-ის ასული ს-ას, დაბადებულის 1968 წლის 7 აპრილს, სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სათანადო ასაკის ბავშვისათვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, მ. გ-ს ასული გ-ის, დაბადებულის 2008 წლის 9 სექტემბერს, სარჩენად 2010 წლის 28 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. ამავე გადაწყვეტილებით გ. გ-ეს დაეკისრა სახელმწიფო სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით. გადაწყვეტილება ალიმენტის სახით ერთი თვის თანხის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. ნ-ის ასულმა ს-ამ, რომელმაც მოითხოვა ალიმენტის დაკისრების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ვ. ნ-ის ასული ს-ას შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. განჩინებით დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, ამავდროულად, სასამართლომ განუმარტა გ. გ-ეს, რომელსაც გაეგზავნა შუამდგომლობის და თანდართული მასალების ასლები მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, რომ მას უფლება ჰქონდა, წარმოედგინა მოსაზრება ვ. ნ-ის ასული ს-ას შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის განმავლობაში, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

2011 წლის 11 აგვისტოს გ. გ-ემ უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება ვ. ნ-ის ასული ს-ას შუამდგომლობასთან დაკავშირებით, სადაც იგი აღნიშნავს, რომ უკრაინის ქ. დონეცკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მის კმაყოფაზეა მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი, მისი შემოსავალი თვეში შეადგენს დაახლოებით 500-600 ლარს. ამ შემოსავლიდან ალიმენტის სახით 1/4-ის გადახდის შემთხვევაში მისი ოჯახი აღმოჩნდება უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში, რადგან იგი ოჯახის ერთადერთი მარჩენალია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. გ-ე ითხოვს ვ. ნ-ის ასული ს-ას შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვას, რა დროსაც მას სურს დააფიქსიროს თავისი პოზიცია მითითებულ შუამდგომლობასა და აღსასრულებელ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, მოპასუხე ითხოვს, რომ უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინოს მისი ოჯახური მდგომარეობა და სამოქალაქო კოდექსის 1221-ე მუხლის შესაბამისად შეამციროს ალიმენტის ოდენობა 60 ლარამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ის ასული ს-ას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის ქ. დონეცკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ნ-ის ასული ს-ას სარჩელი გ. გ-ის მიმართ არასრულწლოვანი ბავშვის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე, სრულად დაკმაყოფილდა; გ. გ-ეს, დაბადებულს 1979 წლის 18 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ვ. ნ-ის ასული ს-ას, დაბადებულის 1968 წლის 7 აპრილს, სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სათანადო ასაკის ბავშვისათვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, მ. გ-ს ასული გ-ის, დაბადებულის 2008 წლის 9 სექტემბერს, სარჩენად 2010 წლის 28 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის სახით ერთი თვის თანხის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სა-

სამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ მა-
ლაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია
მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასა-
ხელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, უკრაინის ქ. დონეცკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტი-
ლება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. ნ-ის ასული ს-ას სარჩელი გ. გ-ის მიმართ არასრულწლოვანი ბავშვის სარ-
ჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე, სრულად დაკმაყოფილდა, კერძოდ, გ. გ-ეს, დაბადებულს 1979
წლის 18 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ვ. ნ-ის ასული ს-ას, დაბადებულის 1968
წლის 7 აპრილს, სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4 ნაწი-
ლის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სათანადო ასაკის ბავშვისათვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, მ. გ-ს
ასული გ-ის, დაბადებულის 2008 წლის 9 სექტემბერს, სარჩენად 2010 წლის 28 აპრილიდან ბავშვის სრულ-
წლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის სახით ერთი თვის თანხის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა
დაუყოვნებლივ აღსრულებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მი-
ერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

მოპასუხე გ. გ-ის მოსაზრებაში მითითებულ გარემოებებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო აღნიშ-
ნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრუ-
ლების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობს «სა-
ერთაშორისო კერძო სამართლის» შესახებ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად, რა დროსაც
ამოწმებს დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალ-
დებულებებთან შუამდგომლობის ფორმალურ შესაბამისობას. აღნიშნულ პროცესში უზენაესი სასამართლო
არ არკვევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. შესაბამისად, მოპასუხის
მოსაზრებაში მოყვანილი გარემოებები, ასევე, მისი თხოვნა აღსასრულებელი გადაწყვეტილებით დადგენი-
ლი ალიმენტის შემცირების თაობაზე, ვერ გახდება მოცემული განჩინების მსჯელობის საგანი და ვერ განა-
პირობებს ვ. ნ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკა-
საციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მიზანშეწონილება,
ამიტომ მოპასუხის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კა-
ნონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. გ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდეს;
2. ვ. ნ-ის ასული ს-ას შუამდგომლობა უკრაინის ქ. დონეცკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2011
წლის 2 მარტის გადაწყვეტილების (საქმე '2-99/11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების
შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ. დონეცკის ლე-
ნინის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ვ. ნ-ის ასუ-
ლი ს-ას სარჩელი გ. გ-ის მიმართ არასრულწლოვანი ბავშვის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე,
სრულად დაკმაყოფილდა; გ. გ-ეს, დაბადებულს 1979 წლის 18 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რეს-
პუბლიკაში, ვ. ნ-ის ასული ს-ას, დაბადებულის 1968 წლის 7 აპრილს, სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი
ყოველთვიურად, ყველა სახის შემოსავლის 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სათანადო ასაკის
ბავშვისათვის საარსებო მინიმუმის 30%-ისა, მ. გ-ს ასული გ-ის, დაბადებულის 2008 წლის 9 სექტემბერს,
სარჩენად 2010 წლის 28 აპრილიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, გადაწყვეტილება ალიმენტის სახით ერ-
თი თვის თანხის დაკისრების ნაწილში დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2940-შ-45-2011

31 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფრაიბურგის საოჯახო საქმეების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრავისგაუში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე ¹ 45 F 876/11) შეწყდა მეუღლეებს (ნ. ჭ-ი, ქ. ბ. მ-ი) შორის 2009 წლის 6 მარტს ფრაიბურგის მმაჩის ბიუროს მოხელის თანდასწრებით რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ¹ ე ...); დადგინდა, რომ წილთა განაწილება, კომპენსაცია არ მოხდებოდა; სასამართლო ხარჯების გადახდა დაეკისრა ორივე მხარეს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ნ. ჭ-ის წარმომადგენელმა ბ. ო-მა, რომელმაც მოითხოვა მხარეებს შორის განქორწინების ნაწილში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინებით ნ. ჭ-ის (წარმომადგენელი ბ. ო-ი) შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გერმანიის ფრაიბურგის საოჯახო საქმეების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრავისგაუში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე ¹ 45 F 876/11) შეწყდა მეუღლეებს (ნ. ჭ-ი, ქ. ბ. მ-ი) შორის 2009 წლის 6 მარტს ფრაიბურგის მმაჩის ბიუროს მოხელის თანდასწრებით რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ¹ ე ...).

გერმანიის ფრაიბურგის საოჯახო საქმეების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრავისგაუში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, მოცემული გადაწყვეტილება ძალაშია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ფრაიბურგის საოჯახო საქმეების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრავისგაუში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მეუღლეებს (ნ. ჭ-ი, ქ. ბ. მ-ი) შორის 2009 წლის 6 მარტს ფრაიბურგის მმაჩის ბიუროს მოხელის თანდასწრებით რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ¹ ე ...), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ჭ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბურგის საოჯახო საქმეების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრავისგაუში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბურგის საოჯახო საქმეების განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს ბრავისგაუში 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შეწყდა მეუღლეებს (ნ. ჭ-ი, ქ. ბ. მ-ი) შორის 2009 წლის 6 მარტს ფრაიბურგის მმაჩის ბიუროს მოხელის თანდასწრებით რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ¹ ე ...);

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1532-შ-27-2011

17 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის, ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება მ. ვ-სა და ე. წ-ს შორის.

მ. ვ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და იშუამდგომლა ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის 2011 წლის 7 იანვრის ოქმითა და საბერძნეთის ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 11877 მოწმობით დასტურდება, რომ ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2011 წლის 25 ივნისს მ. ვ-ის წარმომადგენელმა თ. კ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 აგვისტოს განჩინებით მ. ვ-ის შუამდგომლობა ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ვ-ის შუამდგომლობა ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (მხარეებმა უარი განაცხადეს მის გასაჩივრებაზე).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. ვ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის, ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე საბერძნეთის, ქ. თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. ვ-ისა და ე. წ-ის ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ და დადგინდა მხარეთა ქორწინების შეწყვეტა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3369-შ-61-2011

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ლ-ასა და ა. ლ-ას შორის 1997 წლის 3 ივლისს შლოს პოლტე-შტრუკენბროკის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით რეგისტრირებული ქორწინება 173-1997 შეწყდა, პენსიის წილების ოდენობა არ დაბალანსებულა, ხოლო საპროცესო ხარჯები განაწილდა მხარეთა შორის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ლ. ლ-ას წარმომადგენელმა ნ. გ-მა, მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 9 ივლისს, ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარე ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე (სასამართლო სხდომა ჩატარდა ზეპირი მოსმენით და ა. ლ-ას ინტერესებს იცავდა პროცესუალური წარმომადგენელი).

საქმეში ასევე წარმოდგენილია აპოსტილით დამოწმებული ა. ლ-ას თანხმობა მოცემული შუამდგომლობის განხილვისა და დაკმაყოფილების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების აუცილებლობის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენა, ასევე იმის დადასტურება, გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება აღსრულებულია თუ არა მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე.

ლ. ლ-ას წარმომადგენელმა ნ. გ-მა განცხადებით მომართა სასამართლოს და დადგენილი ხარვეზი სრულად გამოასწორა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ლ. ლ-ას შუამდგომლობა გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ლ. ლ-ას შუამდგომლობა გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვა დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 9 ივლისს, საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო მოწინააღმდეგე მხარე (გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი განხილვის საფუძველზე და გადაწყვეტილების გამოტანისას მოპასუხე წარმომადგენელთა ერთად ესწრებოდა საქმის განხილვას).

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სა-

სამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მოცემული შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგზე:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მის აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი საგვარეულო წიგნის ამონაწერით უდავოდ დასტურდება რა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით აღსრულების სავალდებულობა არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 71-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ლ-ას შუამდგომლობა გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილება რომლითაც ლ. ლ-ასა და ა. ლ-ას შორის 1997 წლის 3 ივლისს შლოს ჰოლტე-შტრუკენბროვის მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით რეგისტრირებული ქორწინება 173-1997 შეწყდა.

3. ლ. ლ-ას შუამდგომლობა გელზენკირხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 26 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-1447-შ-24-2011

29 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით მ. კ-სა და დ. კ-ს შორის ვიორშტადტის მმარის ბიუროში 2009 წლის 23 იანვარს რეგისტრირებული 1E2/2009 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 2 ივლისს.

მ. კ-ის წარმომადგენელმა ს. მ-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით მ. კ-ის წარმომადგენელ ს. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. კ-ის წარმომადგენელ ს. მ-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

განსახილველ შემთხვევაში გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2010 წლის 2 ივლისს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ შუამდგომლობის ავტორი უთითებს, რომ გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება აღსრულებულია გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მისი აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია და არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული საფუძვლიდან გამომდინარე ასევე არ არსებობს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის წინაპირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. კ-ის წარმომადგენელ ს. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ის წარმომადგენელ ს. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის ალცაის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-2933-შ-44-2011

29 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.მიუნჰენის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილის-ში 1998 წლის 17 დეკემბერს ი. შ-ლსა (ტ-ი) და თ. ტ-ს შორის რეგისტრირებული 1260 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2005 წლის 8 ნოემბერს და გერმანიის ტერიტორიაზე აღსრულდა.

ი. ტ-ის წარმომადგენელმა მ. ნ-ემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ.მიუნჰენის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 აგვისტოს განჩინებით ი. ტ-ის წარმომადგენელ მ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.მიუნჰენის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ტ-ის წარმომადგენელ მ. ნ-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

განსახილველ შემთხვევაში გერმანიის ქ.მიუნჰენის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2005 წლის 8 ნოემბერს და შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად, აღსრულდა 2011 წლის 21 ივლისს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მისი აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია და არ არსებობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების წინაპირობები, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული საფუძვლიდან გამომდინარე ასევე არ არსებობს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის წინაპირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ტ-ის წარმომადგენელ მ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.მიუნჰენის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძოს სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ტ-ის წარმომადგენელ მ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.მიუნჰენის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

ა-2849-შ-39-2011

29 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ.პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. ფ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 700 000 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის – 27000 ტენგეს გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 თებერვალს და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

მ. ბ-მა და ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს მოსამართლე ბ. ჟ. შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 აგვისტოს განჩინებით მ. ბ-ისა და ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს მოსამართლე ბ. ჟ-ის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ბ-ისა და ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს მოსამართლე ბ. ჟ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ.პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. ფ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 700 000 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის – 27000 ტენგეს გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 თებერვალს და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ.პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ბ-ისა და ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს მოსამართლე ბ. ჟ-ის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილო ყაზახეთის ოლქის ქ. პეტროპავლოვკის 12 სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მ. ფ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2 700 000 ტენგესა და სახელმწიფო ბაჟის – 27000 ტენგეს გადახდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1867-შ-44-2010

13 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ყადაღის დადება

აღწერილობითი ნაწილი:

ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის დადგენილებით დახურული სააქციო საზოგადოება «ა-ს» მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო საქართველოში შპს «აი. კომპანის» რეესტრის 170172, მდებარე ნიდერლანდების ანტილეგზე, კურასაოში, ... ქ. 45, კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას 8683591,27 ლირებულებით და საკუთრების უფლებებს, დაყადაღებული ქონების განკარგვის აკრძალვით. მოპასუხე შპს «აი. კომპანის» ქონებისა და საკუთრების უფლებების არარსებობის ან სარჩელის დასაკმაყოფილებლად მათი არასაკმარისი ღირებულების შემთხვევაში, ყადაღას ექვემდებარება მოპასუხის ფულადი სახსრები, არა უმეტეს 8683591,27 LtL-ისა.

დახურული სააქციო საზოგადოება «ა-მ» შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აღნიშნული დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით დახურული სააქციო საზოგადოება «ა-ს» შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

მოპასუხე შპს «აი. კომპანის» საქართველოს ფილიალის წარმომადგენელმა მ. ა-ელმა წარმოადგინა მოსაზრება განსახილველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით. იგი არ დაეთანხმა ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას შემდეგი გარემოების გამო: ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე დახურული სააქციო საზოგადოება «ა-სა» და შპს «აი. კომპანის» საქართველოს ფილიალს შორის დავაზე, სადაც დავის საგანი არის ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, 2008-2009 წლების განმავლობაში მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურება, 2007-2008 წლების მარკეტინგული ხარჯებისა და პროდუქციის ხელმოერედ შეფუთვის ხარჯების ანაზღაურება. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 26 მარტს მიიღო გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგნაზე. «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში კი არსებობს მოცემულ საკითხზე ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

ასევე, შპს «აი. კომპანის» საქართველოს ფილიალის წარმომადგენელმა მ. ა-ელმა განმარტა, რომ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად

სამართლებრივ პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში კი ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. ლიტვის რესპუბლიკის დადგენილების თანახმად, ყადაღა უნდა დაედოს მოპასუხის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას, ანუ კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ რომელ ქონებას უნდა დაედოს ყადაღა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს «აი. კომპანიის» საქართველოს ფილიალის წარმომადგენელ მ. ა-ელის მოსაზრებით, არ უნდა მოხდეს ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის 2010 წლის 3 მარტის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის აღმძვრელი პირის წარმომადგენლს ჩაჰბარდა მოპასუხის მოსაზრება კანონით დადგენილი წესით, რაზეც მას საწინააღმდეგო არგუმენტაცია არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ დახურული სააქციო საზოგადოება «ა-ს» შუამდგომლობა ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება ყადაღის დადების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. ამასთან, განსახილველი დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ ყადაღა დაედოს მოპასუხის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას და არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელ ქონებას უნდა დაედოს ყადაღა. საქართველოს კანონმდებლობით კი ზუსტად უნდა განისაზღვროს, დასაყადაღებელი ქონების მოპასუხის საკუთრებაში არსებობა, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხოლოდ კონკრეტული მტკიცებულებებით შეიძლება დადასტურდეს ნივთის მესაკუთრის ვინაობა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე, სადაც მხარეები იყვნენ დახურული სააქციო საზოგადოება «ა-ი» და შპს «აი. კომპანი», ხოლო დავის საგანი არის ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, 2008-2009 წლების განმავლობაში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, 2007-2008 წლების მარკეტინგული ხარჯებისა და პროდუქციის ხელშეორედ შეფუთვის ხარჯების ანაზღაურება. ამავდროულად, იმავე მხარეებსა და იმავე დავის საგანზე ახალციხის რაიონულმა სასამართლოს მიერ 2010 წლის 26 მარტს გამოტანილია გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 17 მაისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს დახურული სააქციო საზოგადოება «ა-ს» შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

და ა დ გ ი ნ ა:

1. დახურული სააქციო საზოგადოება «ა-ს» შუამდგომლობა ლიტვის რესპუბლიკის ქ. ვილნიუსის საოლქო სასამართლოს 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2910-შ-79-2010

10 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ჩ-ძეს დაეკისრა ვ. რ-ოვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის (2004 წლის 13 მარტს დაბადებული პ. ჩ-ძე) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2008 წლის 30 ოქტომბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აგრეთვე მას დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 100 რუბლის გადახდა. აღნიშნული ბრძენება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 მაისს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ვ. რ-ოვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ვ. რ-ოვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ვ. რ-ოვას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ჩ-ძეს დაეკისრა ვ. რ-ოვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის (2004 წლის 13 მარტს დაბადებული პ. ჩ-ძე) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2008 წლის 30 ოქტომბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აღნიშნული ბრძენება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 11 მაისს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. რ-ოვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქვლადიმირის ლენინსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ჩ-ძეს დაეკისრა ვ. რ-ოვას სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის (2004 წლის 13 მარტს დაბადებული პ. ჩ-ძე) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2008 წლის 30 ოქტომბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

ჩ-მე) სარჩენად ყოველთვიურად ალიმენტი ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა 2008 წლის 30 ოქტომბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2743-შ-75-2010

10 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით მ. კ-იანსა და დ. ი-ევს შორის ქ.თბილისში 2002 წლის 30 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ამავე გადაწყვეტილებით მ. კ-იანს უარი ეთქვა სარჩელზე ნოტარიუსის დანიშვნების თაობაზე; დადგინდა, რომ მემკვიდრეობის უფლება გადანაწილდება ორივე არსრულწლოვან ბავშვზე (2006 წლის 27 თებერვალს მონტივილიერში დაბადებული ტ. ი-ევი და 1998 წლის 11 ოქტომბერს თბილისში დაბადებული გ. ი-ევი), ასევე დადგინდა, რომ ბავშვების საცხოვრებელი ადგილი იქნება დედასთან; დ. ი-ევს უარი ეთქვა სარჩელზე ვიზიტისა და თავშესაფრის უფლების გაფართოების თაობაზე; განისაზღვრა მეორე მშობელთან ცხოვრების პერიოდები.

მ. კ-ნი-ი-ევს წარმომადგენელმა ჯ. გ-იამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განქორწინების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინებით მ. კ-ნი-ი-ევს წარმომადგენელ ჯ. გ-იას შუამდგომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2011 წლის 8 თებერვალს მ. კ-ნი-ი-ევას წარმომადგენელმა ჯ. გ-იამ წარმოადგინა ნოტარიალურად დამოწმებული დ. ი-ევს თანხმობა იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. კ-ნი-ი-ევს წარმომადგენელ ჯ. გ-იას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით მ. კ-ნსა და დ. ი-ევს შორის ქ.თბილისში 2002 წლის 30 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.

2011 წლის 8 თებერვალს მ. კ-ნი-ი-ევას წარმომადგენელმა ჯ. გ-იამ წარმოადგინა ნოტარიალურად დამოწმებული დ. ი-ევს თანხმობა იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ნი-ი-ევის წარმომადგენელ ჯ. გ-იას შუამდგომლობა საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განქორწინების ნაწილში დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად საფრანგეთის რესპუბლიკის ჰავრის ზედა ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ინსა და დ. ი-ევს შორის ქ.თბილისში 2002 წლის 30 აპრილს რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-369-შ-6-2011

4 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენით 2004 წლის 19 მარტს ბად ბენტჰაიმის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა, უზრუნველყოფის კომპენსაციას ადგილი არ ჰქონია, ხოლო პროცესის ხარჯები ერთმანეთის მიმართ გაბათილდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა გ. ნ-მემ და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა გერმანიის ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო განაჩენით დასტურდება, რომ გერმანიის ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 28 აპრილს, საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო მოწინააღმდეგე მხარე (გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი განხილვის საფუძველზე და სასამართლო განაჩენის გამოტანისას ეყრდნობა მხარეთა განმარტებებს).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის განჩინებით გ. ნ-მის შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა გერმანიის ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების აუცილებლობის დადასტურება.

შუამდგომლობის ავტორმა განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა საოჯახო წიგნის დამოწმებული ასლი და თარგანი, რომლითაც დასტურდება, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც გ. ნ-მე მოითხოვს, მისი გამომტანი ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 თებერვლის განჩინებით გ. ნ-მის შუამდგომლობა გერმანიის, ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ნ-მის შუამდგომლობა გერმანიის, ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გერმანიის ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2009

წლის 28 აპრილს, საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო მოწინააღმდეგე მხარე (გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი განხილვის საფუძველზე და სასამართლო განაჩენის გამოტანისას ეყრდნობა მხარეთა განმარტებებს), ხოლო გ. ნ-ძის მიერ წარმოდგენილი საოჯახო წიგნის დამოწმებული ასლითა და თარგმანით ასევე ირკვევა, რომ არ არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული განაჩენის განმეორებით აღსრულების საფუძველი.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის, ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

გ. ნ-ძის შუამდგომლობა გერმანიის, ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის, ნორდჰორნის პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2009 წლის 19 მარტის განაჩენი, რომლითაც გაუქმდა ბად ბენტჰაიმის მმარის ბიუროს თანამშრომლის წინაშე რეგისტრირებული გ. ნ-ძესა და ტ. დ-ესს შორის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2997-შ-83-2010

24 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოჰაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. ა-ძესა და ნ. ა-ძეს შორის 1999 წლის 9 ოქტომბერს ქ.თბილისის, ქორწინების სასახლეში 11134 ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით გადაწყდა სხვადასხვა საკითხები, კერძოდ, მეუღლის უზრუნვეყოფა, მშობლების უფლებების განაწილება და პასუხისმგებლობა ბავშვების მზრუნველობაზე, ბავშვის უზრუნველყოფა, ქონების გაყოფა და სხვა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 4 აგვისტოს.

თ. ა-ძის წარმომადგენელმა ვ. ც-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოჰაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განქორწინების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით თ. ა-ძის წარმომადგენელ ვ. ც-ძის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოჰაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ა-ძის წარმომადგენელ ვ. ც-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოკაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. ა-ძესა და ნ. ა-ძეს შორის 1999 წლის 9 ოქტომბერს ქ.თბილისის, ქორწინების სასახლეში 11134 ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. ამავე გადაწყვეტილებით გადაწყდა სხვადასხვა საკითხები, კერძოდ, მეუღლის უზრუნველყოფა, მშობლების უფლებების განაწილება და პასუხისმგებლობა ბავშვების მზრუნველობაზე, ბავშვის უზრუნველყოფა, ქონების გაყოფა და სხვა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 4 აგვისტოს.

თ. ა-ძის წარმომადგენელმა ვ. ც-ძემ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოკაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოკაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება განქორწინების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ა-ძის წარმომადგენელ ვ. ც-ძის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოკაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ განქორწინების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ამერიკის შეერთებული შტატების კაიპოგას ოლქის ოკაიოს შტატის სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ა-ძესა და ნ. ა-ძეს შორის 1999 წლის 9 ოქტომბერს ქ.თბილისის, ქორწინების სასახლეში 11134 ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2197-შ-65-2010

27 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის ქ. მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენით კ. ბ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, სასჯელის გამძლიერებელი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. კ. ბ-ნი ცნობილი იქნა დამნაშავედ ქონების ფარული გატაცების მცდელობაში, ჩადენილი განმეორებით, ჯგუფურად, ბინაში შეღწევით, და გამართლდა იგი ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და 205-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. კ. ბ-ნის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება დარჩა უცვლელად. სასჯელის მოხდა კ. ბ-ნს დაეწყო 2002 წლის 19 ოქტომბრიდან.

ამავე განაჩენით კ. ბ-ის დაეკისრა მატერიალური ზარალის ანაზღაურება: ვ. პ-ს ძე კ-ენის სასარგებლოდ – 2747775 რუბლის ოდენობით, გ. პ-ს ასული კ-ენის სასარგებლოდ – 5446705 რუბლის ოდენობით, ო. ვ-ის ასული გ-იას სასარგებლოდ – 659465 რუბლის ოდენობით, ტ. ა-ს ასული ს-ოვას სასარგებლოდ – 1432815 რუბლის ოდენობით, ლ. ი-ს ასული გ-ოვას სასარგებლოდ – 1311050 რუბლის ოდენობით, ა. ი-ს ძე გ-ოვის სასარგებლოდ – 3461775 რუბლის ოდენობით, ჟ. ი-ს ასული დ-იას სასარგებლოდ – 3134955 რუბლის ოდენობით, ა. ვ-ს ძე ზ-ეკის სასარგებლოდ – 7342135 რუბლის ოდენობით, ს. პ-ს ძე მ-იუკის სასარგებლოდ – 1027595 რუბლის ოდენობით, ლ. ა-ს ასული პ-კოს სასარგებლოდ – 777175 რუბლის ოდენობით, ა. ა-ს ძე ა-სკის სასარგებლოდ – 935870 რუბლის ოდენობით, ვ. ე-ს ძე ს-სკის სასარგებლოდ – 88670 რუბლის ოდენობით, გ. ი-ს ასული ტ-ინას სასარგებლოდ – 853080 რუბლის ოდენობით, ლ. ვ-ს ასული დ-ევას სასარგებლოდ 477720 რუბლის ოდენობით, ტ. ს-ს ასული კ-ოვას სასარგებლოდ – 617275 რუბლის ოდენობით, ლ. ნ-ს ძე ვ-ოვიჩის – 2257085 რუბლის ოდენობით, ზ. პ-ს ასული ვ-ოვიჩის - 11203605 რუბლის ოდენობით, ვ. პ-ს ძე ი-ოვის სასარგებლოდ – 7875215 რუბლის ოდენობით, ვ. ი-ს ძე დ-ეკოს სასარგებლოდ – 2050725 რუბლის ოდენობით, ვ. ნ-ს ასული დ-ეკოს სასარგებლოდ – 33405 რუბლის ოდენობით, ი. ა-ს ასული ლ-ეკოს სასარგებლოდ – 2280185 რუბლის ოდენობით, ჟ. თ-ს ასული ს-იას სასარგებლოდ - 1773480 რუბლის ოდენობით, ე. კ-ს ასული ვ-იკს სასარგებლოდ – 1701895 რუბლის ოდენობით. ასევე, კ. ბ-ის დაეკისრა მორალური ზარალის ანაზღაურება ვ. პ-ს ძე კ-ენის სასარგებლოდ – 200000 რუბლის ოდენობით და ჟ. ი-ს ასული დ-იას სასარგებლოდ – 200000 რუბლის ოდენობით. კ. ბ-ის დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა – 5810965 რუბლის ოდენობით.

აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 17 ივნისს.

ლ. დ-ევამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსიის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ოქტომბრის განჩინებით ლ. დ-ევას შუამდგომლობა ბელორუსიის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენის მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ლ. დ-ევას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ბელორუსიის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენით კ. ბ-ის ლ. დ-ევას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზარალის ანაზღაურება 477720 რუბლის ოდენობით. აღნიშნული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2003 წლის 17 ივნისს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელორუსიის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. დ-ევას შუამდგომლობა ბელორუსიის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენის მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსიის ქ.მინსკის სოვეტსკის რაიონის სასამართლოს 2003 წლის 3 მაისის განაჩენი, რომლითაც კ. ბ-ის ლ. დ-ევას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზარალის ანაზღაურება 477720 რუბლის ოდენობით.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2043-შ-58-2010

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: არასრულწლოვან შვილზე მზრუნველობის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით 1995 წლის 9 მარტს დაბადებულ არასრულწლოვანი დ. ნ-ძის მიმართ მზრუნველობა დაეკისრა ბავშვის დედას – მ. ც-ერს (გ-ძეს).

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მ. ც-ერის წარმომადგენელმა ე. დ-ძემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, გადაეცა ორივე მხარეს და მოპასუხეს – ს. ნ-ძეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში იგი არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში, ასევე ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეები საქმის განხილვის თაობაზე სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ნოემბრის განჩინებით მ. ც-ერის (გ-ძის) წარმომადგენელ ე. დ-ძის შუამდგომლობა ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ც-ერის (გ-ძის) წარმომადგენელ ე. დ-ძის შუამდგომლობა ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით 1995 წლის 9 მარტს დაბადებულ არასრულწლოვან დ. ნ-ძის მიმართ მზრუნველობა დაეკისრა ბავშვის დედას – მ. ც-ერს (გ-ძეს).

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, გადაეცა ორივე მხარეს და მოპასუხეს – ს. ნ-ძეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადაში იგი არ გაუსაჩივრებია, შესაბამისად, შესულია კანონიერ ძალაში, ასევე ირკვევა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას და მხარეები საქმის განხილვის თაობაზე სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

მ. ც-ერის (გ-ძის) წარმომადგენელ ე. დ-ძის შუამდგომლობა ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ვიტენის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც 1995 წლის 9 მარტს დაბადებულ არასრულწლოვან დ. ნ-ძის მიმართ მზრუნველობა დაეკისრა ბავშვის დედას – მ. ც-ერს (გ-ძეს).

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-1849-შ-43-2010

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შპს «ს. ს. კ-ს» სარჩელი შპს «ტ-ს» მიმართ დაკმაყოფილდა, შპს «ტ-ს» შპს «ს. ს. კ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 94000 აშშ დოლარი დავალანების, სახელმწიფო ბაჟის – 940 აშშ დოლარისა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის საზღაურის – 118 გრივნის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს «ს. ს. კ-ს» დირექტორმა ვ.მ.ზ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს მოსამართლე ვ.ი.პ-ის მიერ გაცემული ბრძანების თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მოპასუხე შპს «ტ-ს» ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შპს «ს. ს. კ-ს» შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

შპს «ტ-ს» დირექტორმა ო.კ-იამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, წარმოადგინა შპს «ტ-ს» მიერ შუამდგომლობის ავტორისათვის წერილობითი მიმართვების ასლები, ასევე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის ასლი და განმარტა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა ნივთის მიწოდებისა და მისი საფასურის ანაზღაურების შესახებ არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 488-ე და 490-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ» 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის მე-19 მუხლის საფუძველზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებას უნდა უთხრას უარი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შპს «ტ-ს» დირექტორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ შპს «ტ-ს» შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს «ს. ს. კ-ს» შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შპს «ს. ს. კ-ს» სარჩელი შპს «ტ-ს» მიმართ დაკმაყოფილდა, შპს «ტ-ს» შპს «ს. ს. კ-ს» სასარგებლოდ დაეკისრა 94000 აშშ დოლარიანების, სახელმწიფო ბაჟის – 940 აშშ დოლარისა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის საზღაურის – 118 გრივნის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს «ს. ს. კ-ს» დირექტორმა ვ.მ.ზ-იმ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს მოსამართლე ვ.ი.პ-ის მიერ გაცემული ბრძანების თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ მოპასუხე შპს «ტ.» ინფორმირებული იყო საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, შპს «ს. ს. კ-ს» დირექტორ ვ.მ.ზ-ის შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

შპს «ტ-ს» დირექტორმა ო.კ-იამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, წარმოადგინა შპს «ტ-ს» შუამდგომლობის ავტორისათვის წერილობითი მიმართვების ასლები, ასევე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის ასლი და განმარტა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობა ნივთის მიწოდებისა და მისი საფასურის ანაზღაურების შესახებ არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 488-ე და 490-ე მუხლების მოთხოვნებს, რის გამოც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ» 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციის მე-19 მუხლის საფუძველზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებას უნდა უთხრას უარი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით შპს «ტ-ს» დირექტორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გარემოებები ვერ გახდება შპს «ს. ს. კ-ს» შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის დანაწესების შესაბამისად, რა დროსაც ამოწმებს შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასახელებულ კანონთან და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან ფორმალურ შესაბამისობას, ისე, რომ არ იკვლევს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის საკითხს.

ამდენად, შპს «ტ-ს» დირექტორ ო.კ-იას მიერ მითითებული გარემოებები უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის, ასევე მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ს. ს. კ-ს» შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის ქ.კიევის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება შპს «ტ-სათვის» შპს «ს. ს. კ-ს» სასარგებლოდ 9400 აშშ დოლარის დავალიანების, სახელმწიფო ბაჟის – 940 აშშ დოლარისა და სასამართლო პროცესის საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის საზღაურის – 118 გრივნის დაკისრების ნაწილში.

საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2652-შ-72-2010

31 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფულადი დავალიანების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «D. ჩ-ს» შპს «ე-ს» სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 331973 რუსული რუბლისა და 35 კაპიკის, ასევე საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟის – 11640 რუსული რუბლის ანაზღაურება.

შპს «ე-ს» დირექტორმა ს.იუ.ლ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, სანოტარო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 13 ივლისს. ამავე გადაწყვეტილებითა და მხარის მიერ წარმოდგენილი ტელეგრამის გადაცემა-ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს – შპს «D. ჩ-ს» ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა მოპასუხე დათქმულ დროს სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის განჩინებით შპს «ე-ს» დაევალა სათანადო მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენის ვებით დაედასტურებინა ის გარემოება, რომ სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

როგორც სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ვ.ვ.მ-ს წერილიდან ირკვევა, სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ შპს «ე-ის» შუამდგომლობა სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «D. ჩ-ს» შპს «ე-ის» სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების 331973 რუსული რუბლისა და 35 კაპიკის, ასევე საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟის – 11640 რუსული რუბლის ანაზღაურება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შპს «ე-ის» დირექტორმა ს. ლ-მა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 13 ივლისს, ამავე გადაწყვეტილებითა და მხარის მიერ წარმოდგენილი ტელეგრამის გადაცემა-ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს – შპს «D. ჩ-ს» ეცნობა საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა მოპასუხე დათქმულ დროს სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადებულა. როგორც სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს მოსამართლე ვ.ვ.მ-ს წერილიდან ირკვევა, სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შპს «D. ჩ-ის» დირექტორ კობა ჯვარშიშვილის მოსაზრებას განსახილველი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძველით, რომ ობიექტური

გარემოებების გამო (რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არ არსებობა) კომპანიამ ვერ შესძლო სასამართლო სხდომაზე დასწრება.

უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა იმ მხარის თხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის იგი მიმართული, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ეს მხარე კომპეტენტურ ხელისუფლებას ადგილის მიხედვით, სადაც მოითხოვება ცნობა და აღსრულება, წარუდგენს იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც არის მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო გარჩევის თაობაზე ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო თავის ახსნა-განმარტების წარდგენა.

«არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის ა.გ. ქვეპუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს თუ მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში.

მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო სათანადო წესით დაესაბუთებინა საარბიტრაჟო განხილვაში მისი მონაწილეობის შეუძლებლობა. მხარეს გარდა თავისი განმარტებისა, არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მხარის საარბიტრაჟო სასამართლოში გამოცხადების მიზნით სხვა სახელმწიფოში გასვლაზე კომპეტენტური უწყების მიერ უარის თქმას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმებში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. შესაბამისად, სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს «ე-ს» დირექტორ ს. ლ-ის შუამდგომლობა სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად სამარის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება თანხის – 331973 რუსული რუბლისა და 35 კაპიკის, ასევე საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟის – 11640 რუსული რუბლის «D. ჩ-სთვის» დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-285-შ-77-10

14 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა დ. და დი. ჩ-იანების საერთო წილობრივი საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობაზე 11 საერთო ფართობით 61 კვ.მ კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად ფართობით 270 კვ.მ, მდებარე საქართველოში, ქ. თბილისში, ... რაიონის მე-... კვ.-ის ნაკვეთ 11/10-ში, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე.

დ. და დი. ჩ-იანების წარმომადგენელმა ვ. მ-იანმა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ, სანოტარო წესით დამოწმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 ივნისს. ამავე გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მხარეებს ეცნობათ საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში. ასევე აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინებით დ. და დი. ჩ-იანების შუამდგომლობა ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ დ. და დი. ჩ-იანების შუამდგომლობა ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ცნობილ იქნა დ. და დი. ჩ-იანების საერთო წილობრივი საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობაზე 11 საერთო ფართობით 61 კვ.მ კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად ფართობით 270 კვ.მ, მდებარე საქართველოში, ქ. თბილისში, ... რაიონის მე-... კვ.-ის ნაკვეთ 11/10-ში, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 ივნისს. ამავე გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მხარეებს ეცნობათ საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ, ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქმის განხილვაში. ასევე აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

დ. და დი. ჩ-იანების შუამდგომლობა ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ლენინგრადის ოლქის, ვიბორგის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ცნობილ იქნა დ. და დი. ჩ-იანების საერთო წილობრივი საკუთრების უფლება შენობა-ნაგებობაზე 11 საერთო ფართობით 61 კვ.მ კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ერთად ფართობით 270 კვ.მ, მდებარე საქართველოში, ქ. თბილისში, ... რაიონის მე-... კვ.-ის ნაკვეთ 11/10-ში, ავტოსადგომის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4262-შ-67-2011

28 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის, ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა 2007 წლის 27 ივნისს ნ. და პ. კ-ებს შორის რეგისტრირებული ქორწინება, მოპასუხის წილის ანაზღაურება რაინ-ჰალდის (ანაზღაურების ადგილი) გერმანიის პენსიონერთა დაზღვევაში არ შემდგარა, პროცესის ხარჯები განაწილდა მხარეთა შორის.

ნ. კ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. მოგვიანებით შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელმა ხ. ვ-ძემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა გერმანიის, ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 ივნისს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნინო კლემენსის შუამდგომლობა ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის, ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. კ-სა და პ. კ-ს შორის შეწყდა ქორწინება. საქმეში წარმოდგენილი კიონლის მმჩის ბიუროს მიერ საქორწინო რეესტრის სახით წარმოდგენილი საოჯახო წიგნით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 ივნისს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ნ. კ-ის შუამდგომლობა ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ესენის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება რომლითაც ნ. კ-სა და პ. კ-ს შორის შეწყდა ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

13-56-შ-5-2012

24 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სამრეწველო-სავაჭრო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ა-ს« დაევალა კერძო საწარმო „მ-ს« სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ძირითადი დავალიანების, 33 583,43 აშშ დოლარის, ჯარიმის – 671,66 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ანაზღაურების სახით 3255,31 აშშ დოლარის, სულ 37510,40 აშშ დოლარის გადახდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა კერძო საწარმო „მ-ს« და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული 2011 წლის 22 ივნისიდან და მხარეები ინფორმირებული იყვნენ საქმის განხილვის თაობაზე.

შპს „ა-ს« სასამართლოს წერილობითი მოსაზრებები წარმოუდგინა, სადაც მიუთითა, რომ მხარეებს შორის 2010 წლის 15 მარტს დაიდო N65G დ ხელშეკრულება, რომელიც ხარისხიანი მედიკამენტების მოწოდებას ითვალისწინებდა. „მ-ს« მიერ მოწოდებული მედიკამენტები არ შეესაბამებოდა სტანდარტებს, რის გამოც შპს „ა-ს« 10000 ლარით დაჯარიმდა. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა „მ-ს«, თუმცა რეაგირება არ მოჰყოლია. ხელშეკრულების დარღვევის გამო, დავა გადაეცა უკრაინის საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟს. შექმნილი ფინანსური სირთულეების გამო, შპს „ა-ს« საქმის განხილვისას გამოცხადება ვერ უზრუნველყო და დოკუმენტები გააგზავნა, რომელიც არბიტრაჟს არ განუხილავს. ვინაიდან კომპანია „მ-ს« თავიდანვე დაარღვია ხელშეკრულების პირობა, არბიტრაჟის გადაწყვეტილება არასწორია.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საწარმო „მ-ს« შუამდგომლობა უკრაინის სამრეწველო-სავაჭრო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ« კანონის 731-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ« საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„არბიტრაჟის შესახებ« კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

იმავე მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს „არბიტრაჟის შესახებ« კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები. მოცემულ შუამდგომლობაზე ამგვარი გარემოებები არ გამოვლენილა.

რაც შეეხება შპს „ა-ს« მითითებას კერძო საწარმო „მ-ს« მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხები დავის არსებითად განმხილველი სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს, მოცემულ შემთხვევაში კი, საუბარია უკვე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. საქმის არსებით გარემოებებზე საქართველოს უზენაესი სასამართლო ვერ იმსჯელებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საწარმო „მ-ს« შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 731-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, „არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 44-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კერძო საწარმო „მ-ს» შუამდგომლობა უკრაინის სამრეწველო-სავაჭრო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სამრეწველო-სავაჭრო პალატის საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც შპს „ა-ს» დაევალა კერძო საწარმო „მ-ს» სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ძირითადი დავალიანების, 33 583,43 აშშ დოლარის, ჯარიმის – 671,66 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო მოსაკრებლის ანაზღაურების სახით 3255,31 აშშ დოლარის, სულ 37510,40 აშშ დოლარის გადახდა; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4613-შ-76-2011

29 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენით მ. შ-ძეს დაეკისრა რ. ხ-ს სასარგებლოდ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის 6 026 998 რუბლის გადახდა. ამავე განაჩენით კი ს. ხ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის 2 903 080 რუბლის გადახდა.

რ. და ს. ხ-ებმა შუამდგომლობით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენის ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. მატერიალური და მორალური ზიანის (6 026 998 და 2 903 080 რუბლი) დაკისრების ნაწილში აღნიშნული განაჩენი არ აღსრულებულა, ხოლო დანარჩენ ნაწილში არის აღსრულებული, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით – ცნობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 თებერვლის განჩინებით რ. და ს. ხ-ების შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ რ. და ს. ხ-ების შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენით მ. შ-ძეს დაეკისრა რ. ხ-ს სასარგებლოდ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის 6 026 998 რუბლის გადახდა. ამავე განაჩენით კი ს. ხ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის 2 903 080 რუბლის გადახდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 28 აგვისტოს, მოწინააღმდეგე მხარე – მ. შ-მე ინფორმირებული იყო სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

რ. და ს. ხ-ების შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსიის რესპუბლიკის ბრესტის ოლქის, ივანოვსკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 15 ივნისის განაჩენი, რომლითაც მ. შ-მეს დაეკისრა რ. ხ-ს სასარგებლოდ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის 6 026 998 რუბლის გადახდა, ხოლო ს. ხ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის 2 903 080 რუბლის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4315-შ-70-2011

30 იანვარი, 2012 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 12-366) ტ. მ-ის ასული ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა:

ვ. რ-ს ძე ლ-ას, დაბადებულს 1961 წელს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ხობის რაიონის სოფელ ..., დაეკისრა ალიმენტი მისი ყველა სახის გამომუშავების (შემოსავლის) 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 6 წლამდე ბავშვებისათვის დადგენილი საარსებო მინიმუმის 30 პროცენტისა, ტ. მ-ის ასული ვ-ის სასარგებლოდ, შვილის – ვ. ვ-ის ასული ლ-ას, დაბადებულის 2003 წლის 11 ოქტომბერს, სარჩენად, დაწყებული 2007 წლის 14 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე;

გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას ერთი თვის თანხის დაკისრების ფარგლებში;

ამავე გადაწყვეტილებით ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით;

გარდა ამისა, ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა უკრაინის როვნოს ოლქის სახელმწიფო სასამართლო ადმინისტრაციის ტერიტორიული სამმართველოს მიმართ მოსაკრებელი – 7 გრივნისა და 50 კაპიკის ოდენობით, ანგარიშში ..., ..., კოდი ... როვნოს ოლქი, საქმის საინფორმაციო-ტექნიკური განხილვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს ტ. მ-ის ასულმა ვ-მა და უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლომ. ტ. ვ-მა მოითხოვა ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების ნაწილში. რაც შეეხება უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს, იგი შუამდგომლობით მოითხოვს მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას იმ ნაწილში, რომლითაც ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა 7 გრივნისა და 50 კაპიკის გადახდა საქმის საინფორმაციო-ტექნიკური განხილვისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ტ. მ-ის ასული ვ-ისა და უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობები მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით (საქმე 12-366) ტ. მ-ის ასული ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა:

ვ. რ-ს ძე ლ-ას, დაბადებულს 1961 წელს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ხობის რაიონის სოფელ ..., დაეკისრა ალიმენტი მისი ყველა სახის გამომუშავების (შემოსავლის) 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 6 წლამდე ბავშვებისათვის დადგენილი საარსებო მინიმუმის 30 პროცენტისა, ტ. მ-ის ასული ვ-ის სასარგებლოდ, შვილის – ვ. ვ-ის ასული ლ-ას, დაბადებულის 2003 წლის 11 ოქტომბერს, სარჩენად, დაწყებული 2007 წლის 14 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე;

გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას ერთი თვის თანხის დაკისრების ფარგლებში;

ამავე გადაწყვეტილებით ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ სასამართლო მოსაკრებელი 51 გრივნის ოდენობით;

გარდა ამისა, ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა უკრაინის როვნოს ოლქის სახელმწიფო სასამართლო ადმინისტრაციის ტერიტორიული სამმართველოს მიმართ მოსაკრებელი – 7 გრივნისა და 50 კაპიკის ოდენობით, ანგარიშზე ..., ..., კოდი ... როვნოს ოლქი, საქმის საინფორმაციო-ტექნიკური განხილვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად.

შუამდგომლობაზე თანდართული უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ცნობებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 27 მაისს და იგი უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად არ მიქცეულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები.

ამდენად, უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება (საქმე 12-366) იმ ნაწილში, რომლითაც ტ. მ-ის ასული ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ვ. რ-ს ძე ლ-ას, დაბადებულს 1961 წელს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ხობის რაიონის სოფელ ..., დაეკისრა ალიმენტი მისი ყველა სახის გამომუშავების (შემოსავლის) 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 6 წლამდე ბავშვებისათვის დადგენილი საარსებო მინიმუმის 30 პროცენტისა, ტ. მ-ის ასული ვ-ის სასარგებლოდ, შვილის – ვ. ვ-ის ასული ლ-ას, დაბადებულის 2003 წლის 11 ოქტომბერს, სარჩენად, დაწყებული 2007 წლის 14 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე; გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას ერთი თვის თანხის დაკისრების ფარგლებში; ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა უკრაინის როვნოს ოლქის სახელმწიფო სასამართლო ადმინისტრაციის ტერიტორიული სამმართველოს მიმართ მოსაკრებელი – 7 გრივნისა და 50 კაპიკის ოდენობით, ანგარიშზე ..., ..., კოდი ... როვნოს ოლქი, საქმის საინფორმაციო-ტექნიკური განხილვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ტ. მ-ის ასული ვ-ისა და უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობები უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილების (საქმე 12-366) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის როვნოს საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება (საქმე 12-366) იმ ნაწილში, რომლითაც ტ. მ-ის ასული ვ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ვ. რ-ს ძე ლ-ას, დაბადებულს 1961 წელს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, ხობის რაიონის სოფელ ..., დაეკისრა ალიმენტი მისი ყველა სახის გამომუშავების (შემოსავლის) 1/4 ნაწილის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 6 წლამდე ბავშვებისათვის დადგენილი საარსებო მინიმუმის 30%, ტ. მ-ის ასული ვ-ის სასარგებლოდ, შვილის - ვ. ვ-ის ასული ლ-ას, დაბადებულის 2003 წლის 11 ოქტომბერს, სარჩენად, დაწყებული 2007 წლის 14 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე; გადაწყვეტილება დაექვემდებარა დაუყოვნებლივ აღსრულებას ერთი თვის თანხის დაკისრების ფარგლებში; ვ. რ-ს ძე ლ-ას დაეკისრა უკრაინის როვნოს ოლქის სახელმწიფო სასამართლო ადმინისტრაციის ტერიტორიული სამმართველოს მიმართ მოსაკრებელი - 7 გრივნისა და 50 კაპიკის ოდენობით, ანგარიშზე ..., ..., კოდი ... როვნოს ოლქი, საქმის საინფორმაციო-ტექნიკური განხილვისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3257-შ-57-2011

16 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

კარსლრუეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენით თ. ბ-ე-შ-ო და ი. შ-ო განქორწინდნენ.

თ. ბ-ე-შ-ომ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა კარსლრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 5 ნოემბერს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ბ-ე-შ-ოს შუამდგომლობა კარსლრუეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კარსლრუეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენით თ. ბ-ე-შ-ოსა და ი. შ-ოს შორის შეწყდა ქორწინება. საქმეში წარმოდგენილი კარსლრუეს მმარის ბიუროს მიერ საქორწინო რეესტრის სახით წარმოებული საოჯახო წიგნით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 5 ნოემბერს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

კარსლრუეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

თ. ბ-ე-შ-ოს შუამდგომლობა კარსლრუეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას კარსლრუეს პირველი ინსტანციის საოჯახო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენი რომლითაც თ. ბ-ე-შ-ოსა და ი. შ-ოს შორის შეწყდა ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3018-შ-46-2011

6 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით 2006 წლის 31 მარტს საქართველოს ქ.დუშეთის მმარის სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება¹... მეუღლეებს შორის შეწყდა, გადაწყვეტილებით არ მომხდარა თანასაკუთრების გაყოფა, ხოლო პროცესის ხარჯების დაფარვა მხარეებს დაეკისრათ ერთმანეთის საპირისპიროდ.

თ. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტები: საქართველოს მოქალაქე თ. ბ-ის პასპორტისა და ქორწინების მოწმობის ასლი, საადვოკატო ბიურო «დ. & კოლეგების» დასკვნა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების აუცილებლობის თაობაზე, ბინადრობის მოწმობა, რომლის თანახმადაც შუამდგომლობის ავტორი სარეგისტრაციო მონაცემით განქორწინებულია, ასევე წარმოადგინა პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილება და მისი ქართულენოვანი თარგმანი. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, შესაბამისად, სასამართლო დადასტურებულად თვლის სასამართლო სხდომის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირების ფაქტს, ასევე ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაშია შესული 2011 წლის 16 ივნისიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით თ. ბ-ის შუამდგომლობა პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებამი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ თ. ბ-ის შუამდგომლობა პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, შესაბამისად, სასამართლო დადასტურებულად თვლის სასამართლო სხდომის თაობაზე

მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირების ფაქტს, ასევე ირკვევა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაშია შესული 2011 წლის 16 ივნისიდან.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ბ-ის შუამდგომლობა პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას პფაფენჰოფენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც შეწყდა საქართველოს ქ.დუშეთის მმჩის სამსახურში რეგისტრირებული 1... ქორწინება თ. ბ-სა და ხ. ბ-ს შორის.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-2549-შ-37-2011

9 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ი. ჩ-მე და შ. ა-მე განქორწინდნენ.

ი. ჩ-მემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2002 წლის 10 მარტს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ჩ-მის შუამდგომლობა თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ი. ჩ-მესა და შ. ა-მეს შორის შეწყდა ქორწინება. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2002 წლის 10 მარტს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სა-

სამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ი. ჩ-ძის შუამდგომლობა თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას თელ-ავივის ოლქის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2002 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება რომლითაც ი. ჩ-ძესა და შ. ა-ძეს შორის შეწყდა ქორწინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4484-შ-73-2011

5 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ნ-ისა და ლ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, სასამართლომ გამოაცხადა მხარეთა შორის განქორწინება, რომლებიც დაქორწინდნენ 1997 წლის 14 თებერვალს საქართველოში, ქ.თბილისში და შემდგომში 1997 წლის 30 ნოემბერს კუნძულ კოსის სოფელ კ-ას ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი მართლმადიდებლური წესით. მხარეთა მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის გამო გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2007 წლის 29 ოქტომბერს.

ლ. მ-მა (ნ-ი) შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა ვ. ნ-ის ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა იმის თაობაზე, რომ საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ლ. მ-მა წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული განქორწინების აქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 9 დეკემბრის განჩინებით ლ. მ-ის (ნ-ი) შუამდგომლობა საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ლ. მ-ის (ნ-ი) შუამდგომლობა საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის გამო, კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 29 ოქტომბერს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მოცემული შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგზე:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მის აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი განქორწინების აქტით უდავოდ დასტურდება რა, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით აღსრულების სავალდებულობა არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. მ-ის (ნ-ი) შუამდგომლობა საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 1997 წლის 14 თებერვალს ქ.თბილისში ლ. მ-სა და ვ. ნ-ის შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

3. ლ. მ-ის (ნ-ი) შუამდგომლობა საბერძნეთის კოსის I ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3177-შ-51-2011

12 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით 2007 წლის 16 აპრილის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე სასამართლომ დაადასტურა 1980 წლის 25 თებერვალს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ხ. ს-ის შვილად აყვანა მამობილ შ. კ-ისა და დედობილ ჯ. კ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ხ. ს-ემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 4 აგვისტოს, ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა. საქმეში წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული განცხადებით ასევე ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარეები: შ. და ჯ. კ-ები თანხმობას აცხადებენ ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე მათმა შვილობილმა ხ. ს-ემ ატაროს გვარი კ-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ხ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ხ. ს-ის შუამდგომლობა გერმანიის ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით 2007 წლის 16 აპრილის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე სასამართლომ დაადასტურა 1980 წლის 25 თებერვალს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ხ. ს-ის შვილად აყვანა მამობილ შ. კ-ისა და დედობილ ჯ. კ-ის მიერ.

საქმეში წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ იგი კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 4 აგვისტოს, ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა, ასევე აპოსტილით დამოწმებული განცხადებით ირკვევა, რომ მოწინააღმდეგე მხარეები: შ. და ჯ. კ-ები თანხმობას აცხადებენ, ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე მათმა შვილობილმა ხ. ს-ემ ატაროს გვარი კ-ი.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ლეოპოლდშტადტის რა-

იონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ხ. ს-ის შუამდგომლობა ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ლეოპოლდშტადტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც 2007 წლის 16 აპრილის წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე დადასტურდა 1980 წლის 25 თებერვალს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ხ. ს-ის შვილად აყვანა მამობილ შ. კ-ისა და დედობილ ჯ. კ-ის მიერ.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება
განჩინება**

1ა-3226-შ-56-2011

12 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგინდა 1984 წლის 23 ივლისს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ლ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ჰ. ე-ხ შ-ის (დაბადებული 1945 წლის 17 მაისს) მიერ შვილად აყვანა, შესაბამისად შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი, ასევე განაწილდა მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ლ. ო-ის წარმომადგენელმა დ. მ-ემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2011 წლის 11 აგვისტოს, ასევე ირკვევა, რომ საქმე სასამართლომ განიხილა მხარეთა დასწრებით, რა დროსაც მოსმენილ იქნა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ლ. ო-ის წარმომადგენელ დ. მ-ის შუამდგომლობა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ლ. ო-ის წარმომადგენელ დ. მ-ის შუამდგომლობა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგინდა 1984 წლის 23 ივლისს დაბადებული საქართველოს მოქალაქე ლ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ჰ. ე-ხ შ-ის (დაბადებული 1945 წლის 17 მაისს) მიერ შვილად აყვანა, შესაბამისად შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი, ასევე განაწილდა მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შევიდა კანონიერ ძალაში 2011 წლის 11 აგვისტოს, ასევე ირკვევა, რომ საქმე სასამართლომ განიხილა მხარეთა დასწრებით, რა დროსაც მოსმენილ იქნა მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ო-ის წარმომადგენელ დ. მ-ის შუამდგომლობა მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა 1984 წლის 23 ივლისის დაბადებული საქართველოს მოქალაქე ლ. ო-ის გერმანიის მოქალაქე ჰ. ე-ხ შ-ის (დაბადებული 1945 წლის 17 მაისს) მიერ შვილად აყვანა, შესაბამისად, შვილად ასაყვანის გვარად განისაზღვრა შ-ი.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4612-შ-75-2011

9 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.კიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. კ-ოს სარჩელი ე. ხ-ვის მიმართ არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, 1982 წლის 16 იანვარს დაბადებულ საქართველოს მოქალაქე ე. ხ-ვს 1980 წლის 16 დეკემბერს დაბადებული ა. კ-ოს სასარგებლოდ 2008 წლის 6 ივლისს დაბადებული შვილის – ა. ხ-ვის რჩენისათვის დაეკისრა ალიმენტი ყოველგვარი შემოსავლის ნაწილი, არანაკლებ საარსებო მინიმუმის 30%-ის

გადახდა შვილის შესაბამისი ასაკის მიღწევამდე 2010 წლის 6 ივნისიდან 2026 წლამდე, მოპასუხეს ასევე დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მოსარჩელე ა. კ-ომ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების აღიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებისა და შუამდგომლობაზე დართული მასალების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესის დაცვით, გადაეცა ასევე სარჩელი თანდართული მასალებით, ხოლო გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა საქმის მისი დასწრების გარეშე განხილვა. საქმეში წარმოდგენილი ცნობით დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2011 წლის 9 მარტს და ექვემდებარება აღსრულებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. კ-ოს შუამდგომლობა აღიმენტის დაკისრების ნაწილში უკრაინის ქვიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით ეცნობა ე. ხ-ვს.

2012 წლის 18 იანვარს ე. ხ-ვმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მოცემული შუამდგომლობის მისი მონაწილეობით განხილვა, ასევე შუამდგომლობის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლს, რომლითაც განსაზღვრულია, რომ აღიმენტის ოდენობა მშობლის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა იქნას გამოანგარიშებული მყარად დადგენილი თანხით, გადაწყვეტილებით კი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, დადგენილი ე. ხ-ვისათვის მისი შემოსავლების 1/4-ის დაკისრება, რაც «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ე. ხ-ვის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ა. კ-ოს შუამდგომლობა უკრაინის ქვიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის ქვიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. კ-ოს სარჩელი ე. ხ-ვის მიმართ არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის აღიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, 1982 წლის 16 იანვარს დაბადებულ საქართველოს მოქალაქე ე. ხ-ვს 1980 წლის 16 დეკემბერს დაბადებული ა. კ-ოს სასარგებლოდ 2008 წლის 6 ივლისს დაბადებული შვილის – ა. ხ-ვის რჩენისათვის დაეკისრა აღიმენტი ყოველგვარი შემოსავლის ნაწილი, არანაკლებ საარსებო მინიმუმის 30%-ის გადახდა შვილის შესაბამისი ასაკის მიღწევამდე 2010 წლის 6 ივნისიდან 2026 წლამდე, მოპასუხეს ასევე დაეკისრა სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ა. კ-ომ აღიმენტის დაკისრების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო კანონით დადგენილი წესის დაცვით, გადაეცა ასევე სარჩელი თანდართული მასალებით, ხოლო გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა საქმის მისი დასწრების გარეშე განხილვა. საქმეში წარმოდგენილი ცნობით დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2011 წლის 9 მარტს და ექვემდებარება აღსრულებას.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება

იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია.

რაც შეეხება ე. ხ-ვის მოთხოვნას საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები, რადგანაც მხარე ზეპირი მოსმენით საქმის განხილვას მოითხოვს არა იმის გამო, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მის მიმართ დარღვეულ იქნა როგორც ეროვნული («საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონი) კანონმდებლობით ისე საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი («სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ» მინსკის კონვენცია), არამედ მიუთითებს, რომ აღნიშნულ ვალდებულებათა პირისათვის მისი შემოსავლების 1/4-ის სახით ალიმენტის განსაზღვრა წინააღმდეგობაშია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლთან, რაც «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლზე, რომლითაც დადგენილია შემდეგი: თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ზოგადი წესი და კანონმდებელი ნორმის დისპოზიციის არც ერთი ნაწილით არ კრძალავს ალიმენტის არც მყარად განსაზღვრული თანხის და არც შემოსავლის პროცენტული მაჩვენებლის შესაბამისად განსაზღვრის შესაძლებლობას, ამასთანავე, «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის «ზ» ქვეპუნქტის დანაწესი, რომ გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს მოცემულ შემთხვევას არ შეეხება.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის ასევე მიუთითოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკაზე მოცემულ საკითხებთან მიმართებით და განმარტოს, რომ უკრაინის ქ.კიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შესაბამისობაშია ასევე სასამართლოს სტაბილურ ერთგვაროვან პრაქტიკასთან (იხ. სუსგ 1ა-2391-შ-81-09 2009 წლის 7 დეკემბერი, 1ა-1129-შ-26-2010 2010 წლის 12 ივლისი).

ამდენად, ე. ხ-ის მიერ მითითებული გარემოებები უკრაინის ქ.კიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის, ასევე მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. კ-ოს შუამდგომლობა უკრაინის ქ.კიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსრულებლად უკრაინის ქ.კიროვგრადის კიროვის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც ა. კ-ოს სარჩელი ე. ხ-ვის მიმართ არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა, 1982 წლის 16 იანვარს დაბადებულ საქართველოს მოქალაქე ე. ხ-ვს 1980 წლის 16 დეკემბერს დაბადებული ა. კ-ოს სასარგებლოდ 2008 წლის 6 ივლისს დაბადებული შვილის – ა. ხ-ვის რჩენისათვის დაეკისრა ალიმენტი ყოველგვარი შემოსავლის ნაწილი, არანაკლებ საარსებო მინიმუმის 30%-ის გადახდა შვილის შესაბამისი ასაკის მიღწევამდე 2010 წლის 6 ივნისიდან 2026 წლამდე.

3. ე. ხ-ვის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4927-შ-78-2011

9 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. დ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა. ვ. კ-მეს ჩამოერთვა შშობლის უფლება 1999 წლის 16 ოქტომბერს დაბადებული თ. კ-ძის მიმართ. ვ. კ-ეს ნ. დ-ვას სასარგებლოდ დაეკისრა თ. კ-ძის სარჩენად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 12 მაისს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ნ. დ-ვამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 იანვრის განჩინებით ნ. დ-ვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. დ-ვას შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. დ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა. ვ. კ-მეს ჩამოერთვა შშობლის უფლება 1999 წლის 16 ოქტომბერს დაბადებული თ. კ-ძის მიმართ. ვ. კ-მეს ნ. დ-ვას სასარგებლოდ დაეკისრა თ. კ-ძის სარჩენად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 12 მაისს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. დ-ვას შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის შელკოვსკის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება ალიმენტის

დაკისრების ნაწილში, რომლითაც ვ. კ-მეს ნ. დ-ვას სასარგებლოდ დაეკისრა თ. კ-მის სარჩენად ალიმენტის – ყველა სახის შემოსავლის 1/4-ის გადახდა სარჩელის შეტანის დღიდან.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4365-შ-71-2011

20 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ლონდონის საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით „ტ-ის“ სა-ჩივარი დაკმაყოფილდა სრულად, სს „ქ. ფ-ის“ შემხვედრი პრეტენზია მყიდველის საქონლის გამყიდველის შენობაში შენახვის ხარჯებთან დაკავშირებით, წარმოდგენის შემთხვევაში, მიჩნეულ იქნა გაუქმებულად, სს „ქ. ფ-ს“ „ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5.800000 აშშ დოლარი, შესაბამისი 3.636 წლიური პროცენტით 2008 წლის 28 მაისიდან წინამდებარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების დღემდე, ხოლო შემდგომ წლიურ-რი 3.636% თანხის გადახდამდე. სს „ქ. ფ-ს“ „ტ-ის“ სასარგებლოდ ასევე დაეკისრა მყიდველის ანაზღაურე-ბადი ხარჯი წლიური 4.5% გაერთიანებული 3-თვიან ნაწილებად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დღიდან თანხის გადახდამდე, ასევე საარბიტრაჟო ხარჯები 8.955 გირვანქა სტერლინგი იმ პირობით, რომ, თუ „ტ-ის“ მოუწია ამ თანხის გადახდა მთლიანად ან ნაწილობრივ, პირველ ინსტანციაში, მათ უფლება აქვთ, მიიღონ სს „ქ. ფ-საგან“ ამგვარად გადახდილი ანაზღაურება დაუყოვნებლივ, პროცენტთან ერთად წლიური 4.5% განაკ-ვეთით, გაერთიანებული 3-თვიან ნაწილებად ასეთი გადახდის დღიდან ანაზღაურებამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა „ტ-ის“ წარმომადგენლებმა გ. ბ-შვილ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

წარმოდგენილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე სს „ქ. ფ-ი“ საქმის საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე იყო ინფორმირებული, ეცნობა მას სხდომის დანიშვნის დროისა და ადგილის შესახებ, ჩაბარდა საქმის მასალები და არაერთხელ მიეცა ვადა მოსაზრებისა თუ არბიტრის დანიშვნის თაო-ბაზე, ასევე დასტურდება ის ფაქტი, რომ კომუნიკაცია მხარეთა შორის შედგა ტექნიკური საშუალებების – ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და, შეტყობინებების ჩაბარების დასტურის თანახმად, საარ-ბიტრაჟო სასამართლომ მოწინააღმდეგე მხარე ჩათვალა საკმარისად ინფორმირებულად. საარბიტრაჟო გა-დაწყვეტილებით დადასტურებულია ასევე ის, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 დეკემბრის განჩინე-ბით „ტ-ის“ წარმომადგენელ გ. ბ-შვილის შუამდგომლობა ლონდონის საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2011 წლის 13 იანვარს გ. ბ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და გან-მარტა, რომ „ტ-ი“ უარს აცხადებს შუამდგომლობაზე, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის წარმოე-ბა უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახ-მად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცე-სო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს სადავო ურ-თიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერ-თობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კა-ნონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია). თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორ-მა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყე-

ნებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმა არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო-სა თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხს იხილავს საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებსა და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ« საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, ამასთან, ზემოაღნიშნული ნორმები არ ითვალისწინებს შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმის საკითხის პროცესუალურად გადაწყვეტის შესაძლებლობას, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლობა პროცესუალური საკითხების მიმართ დასაშვებად მიიჩნევს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენების შესაძლებლობას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, „ტ-ის« წარმომადგენელ გიორგი ბეგიაშვილის მოთხოვნა ლონდონის საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ანალოგიის წესის გამოყენებით განხილულ უნდა იქნას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მოსარჩელე უფლებამოსილია, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე დაუბრკოლებლად უარი განაცხადოს თავის სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ« ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამასთან, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორ „ტ-ის« უფლებამოსილი წარმომადგენლის – გ. ბ-შვილის მოთხოვნა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს მთავარ სხდომამდე უარი თქვა შუამდგომლობაზე და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, საკასაციო პალატა თვლის, რომ „ტ-ის« უნდა დაუბრუნდეს 2011 წლის 21 ნოემბერს ნ. ყ-შვილის მიერ 11 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ« საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. „ტ-ის« წარმომადგენელ გ. ბ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. შეწყდეს წარმოება საქმეზე „ტ-ის« შუამდგომლობის გამო, სს „ქ. ფ-ის« მიმართ ლონდონის საზღვაო საარბიტრაჟო სასამართლოს 2010 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.
3. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.
4. „ტ-ის« შემდეგი ანგარიშიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების 1200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი – 1220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი – 1300773150 დაუბრუნდეს ნ. ყ-შვილის მიერ 2011 წლის 21 ნოემბერს 11 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარი.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3303-შ-59-2011

15 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ. მიუნხენის უზნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ე-სა და შ. ქ. ე-ს შორის 2006 წლის 27 აპრილს თბილისის მმჩის ბიუროში რეგისტრირებული № 0071905 ქორწინება შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 31 მაისს.

ზ. ე-ს წარმომადგენელმა ბ. მ-შვილმა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის ქ. მიუნხენის უზნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით ზ. ე-ს წარმომადგენელ ბ. მ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ქ. მიუნხენის უზნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ზ. ე-ს წარმომადგენელ ბ. მ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ქ. მიუნხენის უზნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ გერმანიის ქ. მიუნხენის უზნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2007 წლის 29 ოქტომბერს.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ქ. მიუნხენის უზნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მოცემული შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, საკასაციო პალატა მიუთითებს შემდეგზე:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის უნდა ერთვოდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მის აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებასაც იგი მოითხოვს, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით აღსრულების სავალდებულობა არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ე-ს წარმომადგენელ ბ. მ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ქ.მიუნხენის უბნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ქ.მიუნხენის უბნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ე-სა და შ. ქ. ე-ს შორის 2006 წლის 27 აპრილს თბილისის მმართველის ბიუროში რეგისტრირებული მნ 0071905 ქორწინება შეწყდა.

3. ზ. ე-ს წარმომადგენელ ბ. მ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ქ.მიუნხენის უბნის სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-3409-შ-62-2011

16 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. ფ-შვილისა და ლ. გ-კს შორის შეწყდა არნსბერგის მმართველის ბიუროს მოხელის მიერ 2006 წლის 27 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება.

ზ. ფ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი განცხადებით დასტურდება, რომ ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის 1-ელი სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 7 სექტემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ზ. ფ-შვილის შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების აუცილებლობის დადასტურება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინებით, ზ. ფ-შვილის შუამდგომლობის საფუძველზე მას გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა ათი დღით. 2011 წლის 28 დეკემბერს ზ. ფ-შვილის წარმომადგენელმა ნ. შ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა შუამდგომლობაზე აღსრულების ნაწილში, რადგან გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ზ. ფ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. ფ-შვილსა და ლ. გ-კს შორის შეწყდა ქორწინება. შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით – არნსბერგის მმართველის ბიუროს მიერ ქორწინების რეესტრის სახით წარმოებული საოჯახო წიგნით დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. საქმეში ასევე წარმოდგენილია ლ. გ-კის ახ-

სნა-განმარტება, საიდანაც ირკვევა, რომ გერმანიის ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღსრულებულია.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. ფ-შვილის შუამდგომლობა გერმანიის ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ოსნაბრუკის საუბნო სასამართლოს 2011 წლის პირველი სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ფ-შვილსა და ლ. გ-კს შორის შეწყდა ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-562-შ-13-2012

14 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეიძე,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: ყადაღის მოხსნა

აღწერილობითი ნაწილი:

ანკარის საარბიტრაჟო საბჭომ 2012 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით გაუქმდა ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს მიერ 2009 წლის 20 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება შპს სასტუმრო «ი-ის» (საიდენტიფიკაციო კოდი 245424722) უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და ყადაღა მოეხსნა შპს სასტუმრო «ი-ის» ნებისმიერ უძრავ-მოდრავ ქონებას, მათ შორის ბათუმში ... ქ. 1...-ში მდებარე შენობა-ნაგებობებს საერთო ფართობით 10528 კვ.მ და 5460 კვ.მ მიწის ნაკვეთს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ჯ. ქ-ის წარმომადგენელმა ი. ყ-შვილმა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 6 თებერვლიდან და საკითხი განხილულია მხარეთა დაუსწრებლად.

შუამდგომლობის წარმოებაში მიღების შემდეგ, შპს სასტუმრო «ი-მა» სასამართლოს განცხადებით მომართა და მიუთითა, რომ ეთანხმება ჯ. ქ-ის შუამდგომლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ქ-ის შუამდგომლობა ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2012 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» კანონის 73¹ მუხლის მიხედვით საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება «არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

«არბიტრაჟის შესახებ» კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

იმავე მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებულ შუამდგომლობებს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს «არბიტრაჟის შესახებ» კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები. ჯელალ ქაპრამანის შუამდგომლობაზე ამგვარი გარემოებები არ გამოვლენილა, შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 73¹ მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, «არბიტრაჟის შესახებ» საქართველოს კანონის 44-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. ქ-ის წარმომადგენელ ი. ყ-შვილის შუამდგომლობა ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2012 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2012 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაუქმდა ანკარის საარბიტრაჟო საბჭოს 2009 წლის 20 ნოემბერის გადაწყვეტილება შპს სასტუმრო «ი-ს» (საიდენტიფიკაციო კოდი 245424722) უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და ყადაღა მოეხსნა შპს სასტუმრო «ი-ის» ნებისმიერ უძრავ-მომრავ ქონებას, მათ შორის ბათუმში ... ქ. 1...-ში მდებარე შენობა-ნაგებობებს საერთო ფართობით 10528 კვ.მ და 5460 კვ.მ მიწის ნაკვეთს;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-4277-შ-68-2011

15 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა მ. ჰ.-ქ-ძის წარმომადგენლის მ. ჟ-ს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ ე. ი.-ფ. ჰ-ს მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით კარლსრუეს მმ-ჩის ბიუროს გამგის მიერ 2004 წლის 28 მაისს (რეგისტრაციის ნომერი 330/2004) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა.

მ. ჰ.-ქ-ძის წარმომადგენელმა მ. ჟ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. ჰ.-ქ-ძის წარმომადგენლის მ. ჟ-ას შუამდგომლობა კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ჰ.-ქ-ძის წარმომადგენლის მ. ჟ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით გაუქმდა კალსრუეს მმაჩის ბიუროს გამგის მიერ 2004 წლის 28 მაისს (რეგისტრაციის ნომერი 330/2004) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

«საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. კ.-ქ-ძის წარმომადგენლის მ. ჟ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე კარლსრუეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი, რომლითაც გაუქმდა კალსრუეს მმაჩის ბიუროს გამგის მიერ 2004 წლის 28 მაისს (რეგისტრაციის ნომერი 330/2004) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

1ა-162-შ-4-2012

29 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია**

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ი. კ-ძის წარმომადგენლის ს. ჭ-ძის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ ს. მ-ს მიმართ განქორწინების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით მიუნხენის მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ 2007 წლის 9 ნოემბრის (რეგისტრაციის ნომერი 3349) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება გაუქმდა.

ი. კ-ძის წარმომადგენელმა ს. ჭ-ძემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 იანვრის განჩინებით ი. კ-ძის წარმომადგენლის ს. ჭ-ძის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. კ-ძის წარმომადგენლის ს. ჭ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით გაუქმდა მიუნხენის მმაჩის ბიუროს მოხელის მიერ 2007 წლის 9 ნოემბრის (რეგისტრაციის ნომერი 3349) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ი. კ-ძის წარმომადგენლის ს. ჭ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის მიუნხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მიუნხენის მმჩის ბიუროს მოხელის მიერ 2007 წლის 9 ნოემბრის (რეგისტრაციის ნომერი 3349) რეგისტრირებული წყვილის ქორწინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.